# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 30 სექტემბერი, 2011 წელი.

№182 (6813)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ჯანსუღ ჩარკვიანი – 80

## გვიყვარხარ და გვეამაყები!..

6-7

## „ირანში ომის დაწყების შემთხვევაში საქართველოს ათასობით ლტოლვილის მიღება მოუწევს“

2



## რა მასალა აქვს სპიკერს ლორთქიფანიძის „ცუდ საქციელზე“?

5



აბა პარლამენტის მუშტი-კრივში ნახეთ ვაკო ვინ არის და... ქვანიას ვირთხების გნიასი...

## ნუ დაველოდებით, წავაქეზოთ საზოგადოება

ყოველდღიურ სახელმწიფო მიზანდასახულობასა და საქმიანობაში პრაქტიკულად მოქმედებს ბერშტეინის ცნობილი ფორმულა: „მოძრაობა ყველაფერია, საბოლოო მიზანი – არარაობაა“

3



## განუკითხაობა საქართველოს ციხეებში

## ზეევ ფრენკელმა ინფარქტი მიიღო

4

## „ევროკავშირს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებისადმი ორაზროვანი და არაეფექტიანი მიდგომა აქვს“

8

## რობერტ სტურუასთან ერთად რუსთაველის თეატრის დატოვებას გია ყანჩელიც აპირებდა...

2

## „ბედნიერი ერი“

9



## ინფორმაცია

### ლეიბორისტებმა მერიასთან საპროტესტო აქცია გამართეს

ლეიბორისტებმა დასუფთავების გადასახადის დენის ტარიფზე მიბმა კიდევ ერთხელ გააპროტესტეს. პარტიის ლიდერებმა და მათმა მხარდამჭერებმა გადასახადის ახალი წესის გაუქმების მოთხოვნით, საპროტესტო აქცია თბილისის მერიის შენობასთან გამართეს.

მათ სიმბოლურად მერიასთან მიიტანეს ნაგვის ურნა წარწერით „უგულავას ნაგავი", მასში ჩააწყვეს ელექტროენერგიისა და დასუფთავების ქვითრები და დაწვეს.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის პაატა ჯიბლაძის განცხადებით, დღევანდელი აქცია იყო კიდევ ერთი გაფრთხილება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წესი არ გაუქმდება და დასუფთავების გადასახადზე ისევ ძველი წესი არ ამოქმედდება, საპროტესტო აქციები უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს, რაც საბოლოოდ თბილისის მერისა და საკრებულოს უმრავლესობის წევრების თანამდებობების დატოვებით დასრულდება.

### ხელისუფლებას თომას ჰამერბერგის რეკომენდაციების უგულებელყოფაში ადანაშაულებენ

ეროვნული საბჭო ხელისუფლებას ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის თომას ჰამერბერგის რეკომენდაციების გათვალისწინებისკენ მოუწოდებს, როგორც პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე ეროვნული საბჭოს იურისტმა როინ ხიჯაკაძემ განაცხადა, თომას ჰამარბერგის ბოლო დასკვნის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულება აიღო, რომ ადამიანის უფლებების მხრივ მდგომარეობას გამოასწორებდა, თუმცა ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა.

## მეგობარი მეგობრისთვის

### რობერტ სტურუასთან ერთად რუსთაველის თეატრის დატოვებას გია ყანჩელიც აპირებდა...



რობერტ სტურუასთან ერთად რუსთაველის თეატრის დატოვებას გია ყანჩელიც აპირებდა.

გია ყანჩელმა სპეციალური განცხადებაც დაწერა, რომელსაც სტურუა Facebook-ში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

„ბატონ რობერტ სტურუასთან ერთად ვემშვიდობები ჩემს საყვარელ რუსთაველის თეატრს, რომელსაც „ხანუმადან" და „კავკასიური ცარცის წრიდან" მოყოლებული და „ნადირობის სეზონით" დამთავრებული ნახევარი საუკუნე შევწირე. მადლიერებით და სიყვარულით ყველა თაობის მსახიობისა და ყველა თაობის მაყურებლის მიმართ", — ვკითხულობთ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ კვირას რუსთაველის თეატრში სპექტაკლ „ნადირობის სეზონის" დასრულების შემდეგ სტურუამ თეატრში დარჩენის გადაწყვეტილება გაახმოვანა.

## „პირველი" იუწყება

# ირაკლი სესიაშვილი: ირანში ომის დაწყების შემთხვევაში საქართველოს ათასობით ლტოლვილის მიღება მოუწევს

**უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, ირანში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში საქართველო უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდება და ათასობით ლტოლვილის მიღება მოუწევს.**

ამის შესახებ სესიაშვილმა „პირველს" გაეროში საფრანგეთის ელჩის ჟერარ აროს განცხადების კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმად, „თუ თეირანი ბირთვული პროგრამის განვითარებას არ შეწყვეტს, ირანი შესაძლოა, სამხედრო ოპერაციის ობიექტი გახდეს".

ლიბიის ოპერაციის დაწყების ინიციატორიც საფრანგეთი გახდა), სესიაშვილის აზრით, ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან „საფრანგეთი ყოველთვის ევროკავშირის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ, მტკიცე პოზიციების მქონე სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც ამავდროულად გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებით სარგებლობს".

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთი ირანს შესაძლო დაბომბვის შესახებ აფრთხილებს.

მისივე თქმით, „ირანზე დარტყმა წარმოუდგენლად რთული გა-



„საფრანგეთის მხრიდან ეს მკაცრი გაფრთხილება ძალიან საგანგაშოა. ასეთი ტიპის დაპირისპირებამ შესაძლოა, ძალიან ფართო მასშტაბები მიიღოს და რელიგიური და კულტურული ნიშნით დაპირისპირებაში გადავიდეს. ამასთან, ჩვენი ქვეყნისთვის ეს ძალიან სახიფათო იქნება საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო. მოგეხსენებათ, ჩვენ ირანთან უვიზო მიმოსვლა ავამოქმედეთ და იმ შემთხვევაში, თუ იქ კონფლიქტი გაჩაღდა და სომხეთმა ირანელებისთვის კორიდორი გახსნა, საქართველოს საზღვრებს ათობით და ასობით ათასი ლტოლვილი მოადგება, რომლის მიღებაც მოგვიწევს", — განაცხადა სესიაშვილმა.

რაც შეეხება სამხედრო ოპერაციების წარმოების მიმართულებით ოფიციალური პარიზის გააქტიურებას (შეგახსენებთ, რომ დაწყვეტილებაა, რადგან მთელი რეგიონისთვის კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება, თუმცა მოვლენების ამ სცენარით განვითარების ალბათობა საკმაოდ მაღალია, რამდენადაც მთელი რიგი ქვეყნები თავს ატომური ბომბით შეიარაღებული ირანის არსებობის უფლებას ვერ მისცემენ".

აღსანიშნავია, რომ ჟერარ აროს ეს განცხადება ეხმიანება ცოტა ხნით ადრე საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მიერ გამოთქმულ პოზიციას, რომელიც „გარკვეულ პირობებში" ირანზე პრევენციულ დარტყმებს არ გამორიცხავდა.

ირანმა ფრანგი ლიდერის განცხადება ოფიციალურად დაგმო და განაცხადა, რომ „თავდასხმის შემთხვევაში ქვეყანა აგრესორს აუცილებლად უპასუხებს".

**ნინო ჩიჩუა**



### ვლადიმერ პუტინმა ლეონიდ ლაკერბაიას თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრს ლეონიდ ლაკერბაიას თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

— დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი საქმიანობა მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ხელს შეუწყობს რესპუბლიკის აღდგენა-განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის გაღრმავებას. მთელი გულით გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას აფხაზი ხალხის საკეთილდღეოდ მიმართულ მუშაობაში, — ნათქვამია ვლადიმერ პუტინის მისალოც დეპეშაში.

ХО-ЭИБ-ЭНИ

## განათლება

### ხარისხის განვითარების ცენტრმა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს ავტორიზაცია გაუუქმა

**განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.**

**განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ინფორმაცია განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე, სადაც აღნიშნულია, რომ ავტორიზაცია გაუუქმდა შპს „თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტს", შპს „კავკასიის აკადემიურ ცენტრს", შპს „საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯს".**

ცენტრის ინფორმაციით, ამ საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტუდენტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მობილობის პროცესში, რისთვისაც 29 სექტემბერს უნდა დარეგისტრირდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

ასევე, გაუუქმდათ ავტორიზაცია შპს სასწავლო უნივერსიტეტ „ინტერფარმს"; შპს დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიას"; შპს „ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს".

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ინფორმაციით სტუდენტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მობილობის პროცესში, მაგრამ ვერ მოიპოვეს მობილობის უფლება, ან მოიპოვეს მობილობის უფლება, მაგრამ ვერ მოხვდნენ დაწესებულებების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტში, შესაძლებლობა ეძლევათ, მობილობის პროცესში მონაწილეობის მიზნით, 29 სექტემბერს დარეგისტრირდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

## სვანეთი

# ქუჩაში გატანილი სიწმინდე

**მედიაკავშირ „ობიექტივის" სტუდიაში საზოგადოებრივმა ორგანიზაცია „ლალხორმა" პრესკონფერენცია გამართა სვანეთის ეკლესიების სიწმინდეების თაობაზე.**

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის განკარგულებით, მესამე თვეა ანგრევენ სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობას, სადაც დაუნჯებულია სვანეთის ეკლესიებში საუკუნეების განმავლობაში დაცული სიწმინდეები — ჭედური და ფერწერული ხატები, ხბოს ტყავზე დაწერილი სახარებები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპონატები. უპირველესად ეს არის ქართველი ერის ისტორია და სულიერი საზრდო, — განაცხადა „ობიექტივის" სტუდიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ლალხორის" თავმჯდომარემ მირონ ფირცხელანმა.

სვანეთის მოსახლეობა და საქართველოს მართლმადიდებელი საზოგადოება უკიდურესად აღაშფოთა მუზეუმის ნგრევამ და იქ არსებული უნიკალური ხატების, ოთხთავების არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული ნივთების ქუჩაში, ღია ცის ქვეშ გამოყრამ, ეგრეთ წოდებულ კონტეინერებში ჩამწყვდევამ.



საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლალხორი", რომელიც ზემო და ქვემო სვანეთისა და კოდორის ხეობის მოსახლეობის წარმომადგენლებმა დააარსეს, მიმართავს საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით საპატრიარქოსა და საქართველოს მუზეუმების გაერთიანების დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს, რომ მოხდეს შეთანხმება და არსებული საგანძური მესტიის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში გადაბრძანდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია მოსახლეობასა და მუზეუმის ადმინისტრაციას შორის მუდმივი დაპირისპირება.

სვანეთი ერთადერთი კუთხეა, ქართველ ერს დღემდე რომ შეუნარჩუნა აღნიშნული სიწმინდეები. არა გვაქვს უფლება, ვილაციის ახირების გამო ჩვენი სიწმინდეები საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს, — აღნიშნეს შეხვედრაზე.

**ირინა ოზოლაშვილი**

ადამიანის უფლებები

# ნუ დაველოდებით, წავაქეზოთ საზოგადოება

ეს თემა, თუ შეიძლება ითქვას, მემკვიდრეობით მერგო — მამაჩემი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში მუშაობდა, სადაც იქმნებოდა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია". ეს დეპარტამენტი მხოლოდ ამ მიზნისთვის იყო შექმნილი და წარმოადგენდა კონსენსუსის პრინციპით მოქმედ, საერთაშორისო წარმომადგენელთა ერთიან საავტორო ჯგუფს. მოგვიანებით, მან პირველმა თარგმნა დეკლარაცია ქართულად და, ხელისუფლების უარყოფითი რეაქციის მიუხედავად, მოახერხა დანართის სახით შეეყვანა თავის დისერტაციაში.

93-ში, დეკლარაციის ეს ქართული ტექსტი ცალკე ბროშურად გამოვეცი და საქართველოს პარლამენტს მივაწოდე. ვეჭვობ ვინმეს წაეკითხა... დღესაც ეს თემა, ვფიქრობ, ჩვენი ერისთვის ერთგვარი „ბურუსითაა მოცული". მამაჩემისგან განსხვავებით პროფესიონალი არა ვარ, და მაინც მოკრძალებით შევეცდები ეს „ბურუსი" ოდნავ მაინც გავფანტო...

დემოკრატიისთვის მებრძოლ და გამარჯვებულ რევოლუციას, როგორც წესი, სრულყოფილი დემოკრატია არ მოაქვს. რევოლუციონერებისთვის და მთლიანად მოსახლეობისთვის დემოკრატია სანატრელ მიზნად იქცევა ხოლმე. თვით ტერმინი კი სახელმწიფოსთვის სატიტულო, სათაყვანებელ „ხატად" რჩება, როგორც სქელი წიგნის ლამაზი ყდა. **ყოველდღიურ სახელმწიფო მიზანდასახულობასა და საქმიანობაში პრაქტიკულად მოქმედებს ბერშტეინის ცნობილი ფორმულა: „მოძრაობა ყველაფერია, საბოლოო მიზანი — არარაობაა". პოსტსაბჭოთა უახლესმა ისტორიამ კარგად გვიჩვენა — მოსახლეობას, პირველ რიგში, დემოკრატია ესმის როგორც პირადი გამდიდრების ლეგალური საშუალება. დემოკრატია და ადამიანის უფლებათა მთელი ჩამონათვალი — საერთოდ ფუნდამენტალური დემოკრატიული ფასეულობები, ამ ვითარებაში, თანხლებ ფონად რჩებიან, როგორც აუცილებელი და გარდაუვალი ფრაზეოლოგიური პირობა.** ადამიანისთვის კი, გავიმეორებ, ფსიქოლოგიურად მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება პირადი გამდიდრების ლეგალური საშუალება. ფასეულობათა ასეთი თანამიმდევრობა პრაქტიკულად აუქმებს დემოკრატიულობის შინაარსს, მის სულს — ადამიანის უფლებათა ცნება არააქტუალურ, ბუნდოვნად გასაგებ თეორიად იქცევა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, დემოკრატიის განვითარების ეკლიან გზაზე, ეს პროცესები გარდაუვალი იყო. სადღეისოდ სავარაუდოა, რომ საქართველომ მხოლოდ ამ გზის ნახევარი თუ გაიარა. მოქალაქეთა აურაცხელი პრეტენზია, როგორც წესი, მიმართულია აღმასრულებელი ხელისუფლებისკენ და შინაარსობრივად ასახავს ინდივიდუალურ, ყოფით სიძნელეებს. ეს ბუნებრივია და გასაგები, მაგრამ ამ პრეტენზიების რეალური და საბოლოო დაკმაყოფილება შეუძლებელია ზოგადი ცოდნის გარეშე — საერთაშორისო დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებების ცოდნის გარეშე. მთავარი რაც დღეს საზოგადოებისთვის არის გასააზრებელი: საიდან მიუდგეს ადამიანის უფლებების გაცნობას? ამისთვის, პირველ რიგში, გასარკვევია, თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებები.

**ყველაფერი ადამიანის ღირსებიდან იწყება.** ადამიანმა შეიძლება იმოქმედოს გამომდინარე თავისი ფასეულობების და პრიორიტეტების წარმოდგენიდან. ფასეულობები და პრიორიტეტები, ერთის მხრივ, მისი მოთხოვნილებების შესაბამისად ყალიბდებიან. მეორეს მხრივ — მისი რაციონალური მოსაზრების შედეგად. ყველა ცოცხალ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანს შეუძლია გონივრულად განსაჯოს რა ფასულობებიდან გამომდინარე იმოქმედებს ის — რა არის მისთვის



უფრო ცუდი ან უფრო კარგი. მას შეუძლია თვითონ ამოირჩიოს მრავალი ალტერნატივიდან ისეთი, რომელიც მას მიაჩნია ყველაზე გონივრულად, ან საინტერესოდ, ან სარისკოდ, ან მოხერხებულად. მხოლოდ ადამიანს აქვს შინაგანი თავისუფლების ასეთი უშველებელი პოტენციალი. ამ შინაგანი თავისუფლების შეზღუდვა არის ადამიანის ღირსების შელახვა. ადამიანის უფლება იქონიოს საკუთარი მოსაზრება, მიიღოს ამ მოსაზრებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება და შესაბამისად იმოქმედოს — არის არსი ადამიანის არსებობისა. ამიტომ, ყველაფერი რაც ადამიანს მის გარემოცვაში: ოჯახში, მის ისტირიაში, კულტურაში, ენაში აყალიბებს — მისი იდენტურობა და მისი ფესვები — ყველაფერი არის ადამიანის ღირსების ნაწილი.

ადამიანი ის არსებაა, რომელიც არა მარტო თავისუფალია, არამედ ის, ვისაც გააჩნია საკუთარი ინდივიდუალობა (ეთნიკური, რელიგიური, კულტურული...) და სურს, რომ ამ ინდივიდუალობას ანგარიშს უწევდნენ. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ არ შეგვიძლია გადავიხაროთ მეორე უკიდურესობისკენ და განვიხილოთ თითოეული ადამიანი, როგორც ვინმე უცხო — ადამიანებისგან, საზოგადოებისგან ცალკე განმარტოებით მდგომი, იზოლირებული მოვლენა, რომელსაც სხვებთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს საერთოდ არ არის ადამიანის თვისება და როგორც არ შეეცდება რომელიმე ინდივიდი საწინააღმდეგოს მტკიცებას — ლოგიკა მას აუცილებლად ჩიხში მოიმწყდევს. ამრიგად, **დემოკრატიული წყობის ამოცანაა თითოეული ადამიანის ინდივიდუალობა და მისი ღირსება ორგანულად შეაფარდოს სხვების (მისი უშუალო გარემოცვის) ფასეულობებთან და პირიქით.** ეს მეტად ფაქიზი საკითხია, ვინაიდან ამავდროულად ადამიანს უნდა შეუნარჩუნდეს სოციუმიდან ამოვარდნის, გაქცევის სურვილის ასრულების შესაძლებლობა ისე, როგორც მაგალითად, ეს მოხდა სალმან რუშდის შემთხვევაში.

<u>ამ კუთხით საქართველოში რა სიტუაციაა?</u> ხშირ შემთხვევაში ჩვენი ღირსება ილახება ისე, რომ ამას ვერც კი ვამჩნევთ — ვერ ხვდება ის, ვინც ლახავს ადამიანის ღირსებას და ვერ ხვდება ის, ვისი ღისებაც ილახება. **ქვეყნის დამოუკიდებლობამ მოგვცა რეალური შესაძლებლობა მოვკლათ ჩვენში „მონური" მორჩილება, ცხოვრების და ჩვენი ყოფის ფატალისტურად შეგრძნება. მხსნელს ან მკურნალს ნუ მოველით — ადამიანი თვითონ უნდა იყოს საკუთარი თავის მკურნალიც და მხსნელიც.**

**პოლიტიკის თვისობრივი ცვალებადობა** ყველაზე მძაფრად ვლინდება სახელმწიფოსა და ადამიანის ურთიერთობებში. ზოგადად, სახელმწიფოს დამოკიდებულება ადმიანის უფლებების მიმართ ამბივალენტურია, რაც გამოწვეულია კონკრეტული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის, ჩამოყალიბების ისტორიით, თვით ამ სახელმწიფოში დემოკრატიის განვითარების და წარმოქმნილი დემოკრატიული ტრადიციების სპეციფიკით. ამრიგად, სხვადასხვა სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის არასრულყოფილებამ გამოიწვია უამრავი საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რამაც, თავის მხრივ გლობალურ მასშტაბში, ხელი შეუწყო ადამიანთა უფლებების დაცვის სისტემის სრულყოფას და მისი მოქმედების ეფექტურობას. ასეთი გლობალური ზემოქმედება განუწყვეტლივ აუმჯობესებს, თვისობრივად ცვლის საერთაშორისო პოლიტიკას — ხვეწავს მას ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით. თვისობრივად შეცვლილი საერთაშორისო პოლიტიკა, რასაკვირველია, შედარებით ნელა მაგრამ მაინც განუწყვეტლივ წინსვლით მოძრაობს.

ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნამ განაპირობა შემდგომი განვითარების სპეციფიკა. ვისაც არ უბრძოლია, ომის თუ რევოლუციის ქარცეცხლში არ გამობძმედილა — მოიმკის უფრო მეტ სიძნელეს, როდესაც სახელმწიფო ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგება მოუწევს. ასეც დაგვემართა და ამ ისტორიული „კრედიტის პროცენტებს" დღესაც ვიხდით.

**რა არის ადამიანის უფლება?** ყოველი ადამიანის ელემენტალური უფლებაა იცხოვროს იმ საზოგადოებრივ ერთობაში, სადაც ის იმყოფება, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი: განვითარდეს, იმუშაოს, დაისვენოს, მიიღოს ინფორმაცია, იქონიოს ურთიერთობა დანარჩენებთან, დაქორწინდეს, გაზარდოს ბავშვები. მოკლედ: ადამიანის უფლება ადამიანის ის უფლებებია, რომლებიც, მათი ბუნების შესატყვისად, აძლევენ შესაძლებლობას იცხოვრონ სხვა ადამიანებთან ერთად. ამავე დროს, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ადამიანის უფლებები შეესაბამება გარკვეული ეპოქის ადამიანს. ეს მსოფლიოს ყველაზე მტკივნეული პრობლემაა, ვინაიდან ჩვენს ეპოქაში ყველა სახელმწიფო თუ ეთნოსი რეალურად „სხვა ეპოქაში ცხოვრობს" და მათი წარმოდგენა ადამიანის უფლებებზე რადიკალურად სცილდება თანამედროვეობას.

როდესაც ჩვენ ვთვლით, რომ ირღვევა ჩვენი ადამიანური უფლება, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და თავს დაუცველად ვგრძნობთ, უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს რომ: ადამიანის უფლებები არ არის რომელიმე სახელმწიფოს შიდა საქმე; ადამიანის უფლებები დაცულია საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის მეშვიდე მუხლის თანახმად და ეს დებულება ვრცელდება და ჰპოვებს განვითარებას მრავალ სხვა მუხლებშიც.

იხ. 4 გვ.

წკეპლიკა

# პენსიონერებო, სწორდით, სმენა, პრეზიდენტისაკენ!

ხელის დასაკოცნად, ნაბიჯით იარ! (სირბილით არა — სადღა შეგიძლიათ სირბილი...); იმ ხელისა, რომელიც მოაწერა დედაქალაქში 10 ლარითა და რაიონებში 20 ლარით პენსიის მომატების განკარგულებას; ნუ დავუკარგავთ 10-20-ლარიან სიკეთესა და ფულუხვობას.

ჩემი ამგვარი მოწოდება, რა თქმა უნდა, ყველა პენსიონერს არ ეხება, ყველას როგორ ვაკადრებ — იმ ოთხს ვუკიჟინებ, ვინც მთავრობას სამადლობელ კლიპში გადაალებინა თავი და ზედაც იმ ქალბატონს, ვინ, სახლში რომ „მიატანინა" ას ლარამდე ავარდნილი პენსია მიხეილ-ბატონს („დაქვემდებარებული" დავით კირკიტაძეთი თანხლებულს), მეუღლესთან ერთად „ვაშათი" რომ დახვდა და მერე სიყვარულიც „აუხსნა"; თუმცა სწორედ ამ მოვლენის გათვალისწინებით, ეგ ქალბატონი და მისი ქმარი პრეზიდენტისაკენ ნაბიჯით სვლის ახლახან გახმიანებული მოწოდებისაგან უნდა გავათავისუფლოთ, რაკი მაღალი სტუმარი თავად მოევლინათ და ფეხმოუცვლელად აუსრულდათ ბელადის გვერდით ყოფნის ნანატრი ოცნება...

იმ ოთხ კლიპელს-მეთქი და გაგახსენებთ, რაც ერთ-ერთმა ჩააწერინა გადამღებ „საიმედო" ტელეარხს: დაგვპირდა მთავრობა ას ლარამდე პენსიის მომატებას, შეასრულა კიდევაც სიტყვა და ძალიან მადლობელი ვართო... არც „თანაკლიპელებს" დაუკლიათ სამადლობელი.

თქვე კაი პენსიაგაზრდილებო, ვინც ასე მხურვალედ აუწყვეთ ხმა და ნაბიჯი სახელისუფლებო საპენსიო პიარ-კომპანიას, იმაზე რატომ არ ლაპარაკობთ, მთავრობამ და პირადად პრეზიდენტმა ამდენი დაპირება რომ არ შეასრულეს და სიტყვა გატეხეს? ჩამოგითვალოთ, რამდენი თუ უჩემოდაც გაისიგრძეგანებთ შესაბამის ნუსხას? რასაა და ვისაა, რომ ემადლიერებით?

კაცო, მიხეილ და დავით ბატონებს ათას-ათასი ლარი მაინც მიეტანათ ქვემო ქართლის ღუბერნატორისაგან შერჩეულ ცოლ-ქმარ პენსიონერთა ოჯახში და ამნაირი „ძვირი" მიზეზით ავსებულიყო იმ სახლის ეზო პოლიციელებითა და თურმე გვერდით მდებარე აზერბაიჯანული ბაზრიდან მოყვანილი ხალხით; უმაღლესი დონის პიარი ას-ასი ლარის დარიგებაზე როგორ უნდა დაეშვას, ასე როგორ უნდა გაიაფდეს, ამგვარი ამბები რატომ უნდა შუქდებოდეს თუნდაც სახელისუფლებო ტელებრახებით, რა იყო აქ ასეთი სახმაურო — სოხუმში შევედით?.. პიარიც ხომ ჯერ წესია და მერე პიარი...

ეგეც რომ არა, თუ ღმერთი გწამთ, რა პრეზიდენტის მისატანია ასლარიანი, გინდაც მომატებული პენსია, ბატონი ედუარდის თქმისა არ იყოს (შევარდნაძისა) — ფოსტალიონია? პენსიების დარიგების, სკოლების გახსნის, ველოსიპედზე შემოჯდომისა თუ „პონის ეტლით გასეირნების" მეტი საქმე არა აქვს ხელმწიფის ტოლ კაცს, საამისოდ უნდა იცლიდეს?..

ეჰ, ზოგიერთო პენსიონერო, ზოგიერთო პენსიონერო! ნუ დაჰკრავთ, ზოგჯერ, გაუმართლებელ ტაშს და ნუ შემოსძახებთ „ამფერ ჩემო დათუნაო"... თორემ აგერ, აცივდა ნელ-ნელა, შორიდან მოიპარება ზამთარი, ვით ტურა-მელაო და ნაგავიზებული ელექტროენერგიის საფასური რომ მოგივათ გადასახდელად, ნახავთ მაშინ, რაფრა დაფარავს ეგ გადიდებული და ტაშდაკრული პენსია გადიდებულ კომუნალურ გადასახადებს... შეგანამუსეთ მე აქ...

ბერდია ბედოიძე

ინფორმაცია

## საქართველოს სამეფო ოჯახში ტახტის მემკვიდრე დაიბადა

საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია იუწყება, რომ მიმდინარე წლის 27 სექტემბერს მის უდიდებულესობას პრინც დავითს და პრინცესა ანა ბაგრატიონებს ვაჟი პრინცი გიორგი ბაგრატიონი შეეძინათ. ინფორმაციას ამის შესახებ „heraldistas.blogspot.com"-ი ავრცელებს.

ეს პირველი ვაჟი და დინასტიის მემკვიდრეა და მას მისი სამეფო უდიდებულესობა გიორგი ბაგრატიონი ეწოდება.

ჯი-ეიჩ-ენი

## ადამიანის უფლებები

(მესამე გვერდიდან)

**ადამიანები მართავენ სამართალს, თუ სამართალმა უნდა მართოს ადამიანები?** დგანან კი სახელმწიფოები, დემოკრატიები, მოქალაქეთა უმრავლესობა, სამართალზე მაღლა, თუ ისინი სამართლით შეზღუდულნი არიან? კაცობრიობის პროგრესის უმნიშვნელოვანეს მიღწევებს მიეკუთვნება წარმოდგენა, რომ სახელმწიფოები და მთავრობები არა განკერძოებითი ადამიანის უფლებებით არიან შეზღუდულნი. რასაკვირველია სახელმწიფოებს, მთავრობებს შეუძლიათ მიიღონ ახალი კანონები, მაგრამ ისინი სამართალზე მაღლა არ დგანან. **სახელმწიფოები თვითონ არიან სამართლის და სამართალწესრიგის მეშვეობით შექნილი ინსტიტუტები – ისინი, მხოლოდ და მხოლოდ, სამართლის საფუძველზე არსებობენ. ამიტომ მათ არ შეუძლიათ ცვალონ სამართალი და უგულებელყონ ადამიანის უფლებები რალაც სახელმწიფოებრივი ინტერესების წარმოდგენების საფუძველზე.**

სამწუხაროდ, დღეს მეტად ცოტა სახელმწიფო ცხოვრობს ამ პრინციპის სრული გათვალისწინებით. ეს გასაგებიცაა თუ სალად შევხედავთ ამ პრობლემას. ვინ შეიძლება იყოს სამართლის სწორად ალსრულების გარანტი? **არც მთავრობა და არც პარლამენტი არ შეიძლება იყვნენ სამართლის შენარჩუნების საიმედო გარანტები, ვინაიდან სამართალი ქმნის სახელმწიფო ინტერესების შეზღუდვებს. სამართლით დაწესებული შეზღუდვები ყველაზე კარგად შეიძლება განსაზღვრონ დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა სასამართლოებმა, რომლებიც, მათ საქმიანობაში, მხოლოდ სამართალით ხელმძღვანელობენ.** თითქოს და იოლი ფორმულაა: სახელმწიფო ქმნის სამართალს და მასვე ემორჩილება. **ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოებად დანაწევრება არის უმთავრესი და გადამწყვეტი პირობა, რომელიც უნდა მოიპოვოს საზოგადოებამ და მხოლოდ მან.**

ვინაიდან საქართველოში ხშირია უსამართლობის განცდა ჩვენს სასამართლო სისტემასთან მიმართებაში უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს რომ: **გარდა ჩვენი სასამართლოებისა, არსებობენ ჩვენს სახელმწიფო სამართალზე მაღლა მდგომი სასამართლოები და მათ გადაწყვეტილებას საქართველო უსიტყვოდ ემორჩილება.**

რისთვისაა საჭირო ადამიანის უფლება? დემოკრატია რთული კონსტრუქციაა. მოგვწონს ეს თუ არა, მასში ბევრი ხარვეზია. ერთ-ერთი მათგანია უმრავლესობის ნება, რომელიც რჩეულებს (უმრავლესობის ნებით არჩეულებს) ანიჭებს, უძლვენის ხელისუფლებაზე მონოპოლიას. ამ ხარვეზს, ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ სახელმწიფოში, თვით დემოკრატიის ფუნდამენტალური პრინციპები აწონასწორებენ სასამართლო სისტემის მეშვეობით.

დასაწყისში ალვნიშნე, რომ „პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, დემოკრატიის განვითარების ეკლიან გზაზე... საქართველომ მხოლოდ გზის ნახევარი თუ გაიარა...“. ამრიგად სადღეისოდ ჩვენთან, უმრავლესობასა და უმცირესობას შორის არც პოლიტიკური, არც სოციალური, არც ეკონომიური, არც რელიგიური დაბალანსება არ არსებობს – ჯერ სახელმწიფო მექანიზმი მერყეობის სტადიაშია და ხელისუფლების (და მასთან არსებული ოლიგარქიის) მონოპოლია ჩრდილავს ადამიანის უფლებებს. გავიმეორებ: გარდა ჩვენი სასამართლოებისა, არსებობენ ჩვენს სახელმწიფო სამართალზე მაღლა მდგომი სასამართლოები და მათ გადაწყვეტილებას საქართველო უსიტყვოდ ემორჩილება.

# ნუ დაველოდებით, წავაქეზოთ საზოგადოება

**ადამიანის უფლებათა უნივერსალობა.** ეჭვს გარეშეა, დღეს-დღეობით, წმინდა ინდივიდუალისტური თვალსაზრისით, უნივერსალურ უფლებებად შეუძლებელია გამოცხადდეს ადამიანის უფლებები, ისეთი სულიერი თავისუფლების ფორმებზე, როგორებიცაა: სიტყვის თავისუფლება; საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლება და, შესაძლებელია, სარწმუნოების და სინდისიერების თავისუფლებაც, ვინაიდან ერების, მათი სხვადასხვა სარწმუნოებებით და კულტურული ტრადიციებით,



კაცობრიობა მეტად მრავალფეროვანია და ამასთანავე ერთმანეთში არეულიც, რაც ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისთვის ერთა და კულტურთა შორის აშკარა და უხილავი კონფლიქტების მიზეზია. ადამიანის ღირსება არა მარტო მის ინდივიდუალობაშია. მისი ღირსება არაერთგვაროვან საზოგადოებაში არსებობს, იმ საზოგადოებაში, რომელსაც ეს ადამიანი მიეკუთვნება, და ამავე დროს, ადამიანიც და მისი ღირსებაც, ამ საზოგადოების მეშვეობითაც არსებობენ. მაგრამ, რაიმე კომპრომისი ადამიანის ფიზიკური ფასეულობის, პირადი ღირსების და მის მიმართ სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში სრულიად დაუშვებელია.

**სამწუხაროდ, საქართველოში ხშირია სწორედ ინდივიდუალისტური მიდგომა, როდესაც გვავიწყდება რომ ჩვენს გარშემო არსებობს სხვა მოსაზრება, სამართლიანობის სხვაგვარად გაგება...** ჩვენი ღირსება არაფრით არ ჩამოუვარდება სხვების ღირსებას. მოკლედ: ჩვენ მხოლოდ ახლა ვსწავლობთ ოცდამეერთე საუკუნეში არსებულ ცივილიზებული ცხოვრების ნორმებს.

**სამართლებრივი სახელმწიფო** ყველა დანარჩენ სახელმწიფოებზე უფრო სუსტია, ვინაიდან მას ყოველდღიურად უწევს ზრუნვა სამართლებრიობის შესანარჩუნებლად, რათა დაიცვას სახელისუფლებო შტოების ერთმანეთისგან განცალკევება და დამოუკიდებლობა. მარტივად რომ ვთქვათ: დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო მუდამ თვითგაჯანსალების პროცესშია. ეს ძალისხმევა, პირველ რიგში, მიმართულია ადამიანის უფლებების დასაცავად. სახელმწიფოს ასეთ თვითმკურნალობას ხელს უწყობენ საერთაშორისო ინსტიტუტები (გაეროს ინსპექცია, ეუთოს წარმომადგენლები, დამკვირვებლები და მრავალი საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები), რომლებიც გამუდმებით ატარებენ მონიტორინგებს და თვალს ადევნებენ ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებს.

საქართველოში ამ მხრივ მეტად რთული ვითარებაა. ყოველი მოქალაქის, საზოგადოების თუნდაც მცირე ძალისხმევის გარეშე ვერავითარი გაეროს ინსპექცია, ეუთოს წარმომადგენლები, დამკვირვებლები და მრავალი საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვერაფერს გააწყობენ. უნდა ვიცოდეთ და კარგად გვახსოვდეს ჩვენი კონსტიტუციით (მუხლი 5; 1) საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში (2). ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით (3). არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

**საქართველო და ადამიანის უფლებები.** ნებისმიერი საზოგადოება, თავისი განვითარების გზაზე, გარკვეულ მერყეობებს განიცდის, ზოგჯერ დროებით – უკუსვლასაც კი. ამას წინათ ზაზა შათირიშვილმა ზუსტად შენიშნა, რომ დღეს ქართული საზოგადოება სწორედ რეგრესის ფაზაშია, რაზედაც, საერთო კულტურული დონის დაცემა, ინტელიგენციის და არისტოკრატიის საზოგადოებაზე გავლენის მკვეთრი შემცირება მიანიშნებს. მისი აზრით ეს რეგრესიული პერიოდი პოსტკოლონიური სინდრომითაა გამოწვეული. ამასთანავე, ამ პროცესს ხელს უწყობს ოლიგარქიის (სრულიად კანონზომიერი), გაჩენა და გაძლიერება. შათირიშვილის მართებული ლოგიკიდან გამომდინარე არ უნდა გვიკვირდეს ადამიანის უფლებებისადმი საქართველოს ხელისუფლების გულგრილობა და ამ უფლებების დარღვევების შენილბვის მცდელობა. ზაზა შათირიშვილისგან განსხვავებით, რომელიც ფილოსოფიური სიმშვიდით ელოდება შემდგომ ისტორიულ ცვლილებებს, საზოგადოების აქტიური წაქეზება დროულ ქმედებად მიმაჩნია, მით უმეტეს თუ ამასაც შათირიშვილისამებრ ისტორიულ კანონზომიერებად მივიჩნევთ. საზოგადოების წაქეზების მრავალნაირი გზა არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში პრიორიტეტულად ინტელიგენციის შენჯღრევა უფრო ეფექტიანად მიმაჩნია, ვინაიდან დღეს უკვე შეიმჩნევა ქართველ ინტელექტუალთა რიგებში გარკვეული მზაობა და იმის გააზრება, რომ სანამ მცირერიცხოვან, მორიდებულ, გაუბედავ ინტელიგენციას მოთმინების ფიალა არ აევსება... და როგორც არაერთხელ მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, უეცრად გაირკვევა რომ „ცხვარი – ცხვარია, თუ გამწარდა – ცხარეა“... ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის ოცდაათი მუხლი ის მყარი საძირკველია, რომელზედაც იოლად, დამაჯერებლად და ეფექტიანად შეიძლება „აშენდეს“ თითქმის ნებისმიერი საზოგადოებრივი პროტესტი.

ნუ დაველოდებით, – წავაქეზოთ საზოგადოება, სანამ ინტელიგენციაში არ გაჩნდება მუხტი, სანამ ის შეჯგუფებას არ დაიწყებს და არ შექმნის სრულიად ახალ, ინტელექტუალურ, თანამიმდევრულად მოაზროვნე, სინდისიერ და შეუპოვარ საპროტესტო მოძრაობას.

**მალხაზ ჟვანია**

## განუკითხაობა საქართველოს ციხეებში

# ზეევ ფრენკელმა ინფარქტი მიიღო

**პატიმრობაში მყოფმა ებრაელმა ბიზნესმენმა ზეევ ფრენკელმა ინფარქტი მიიღო, იუწყება „პირველი“.**

როგორც „პირველს“ ბიზნესმენის ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა აცნობა, ინფარქტის მიზეზი მის მიერ ფრენკელისთვის მიწოდებული იმ მედიკამენტების არმილება გახდა, რომელიც ადრესატამდე მისვლის ნაცვლად, ციხის ექიმის კაბინეტში დარჩა.

**„13 სექტემბრამდე ფრენკელი ქსნის №15 დაწესებულებაში იმყოფებოდა, 13 სექტემბერს იგი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გეგუთის ციხეში გადაიყვანეს, ხოლო მისი წამლები ქსნის ციხეში დარჩა. 14 სექტემბერს პატიმარს, რომელსაც ციხის ადმინისტრაცია აუცილებელ მედიკამენტებს არ აწვდიდა, წამლები ჩვენ შევუგზავნეთ, მაგრამ მათ ადრესატამდე ვერ მიაღწიეს. 17 სექტემბერს წამლები ისევ შევაგზავნეთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგივე განმეორდა. შედეგად ფრენკელმა, რომელსაც აუცილებელი მედიკამენტები ერთი კვირის განმავლობაში არ მიუღია, ინფარქტი გადაიტანა. ის ქუთაისის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს,**



**სადაც ორი საათის განმავლობაში შუნტირება უტარდებოდა“,** – განუცხადა „პირველს“ ადვოკატმა და დასძინა, რომ დაცვის მხარისთვის ალნიშნულის შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი.

მისივე თქმით, ოპერაციამ ნორმალურად ჩაიარა, პატიმარი ამ დროისთვის რეანიმაციული განყოფილებიდან პალატაშია გადაყვანილი, ხოლო საქართველოში ისრაელის საელჩო მომხდარის შესახებ საქმის კურსშია ჩაყენებული.

რაც შეეხება ებრაელ ბიზნესმენებზე რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელზე ციხეში ბოლოდროინდელი ზემოქმედების საკითხზე ისრაელის მთავრობის პოზიციას, როგორც ადვოკატი აცხადებს, მისთვის ამ კუთხით ჯერჯერობით არაფერია ცნობილი, მაგრამ საელჩოში განუცხადეს, რომ მთავრობა თავის პოზიციას უახლოეს მომავალში დააფიქსირებს.

**შეგახსენებთ, რომ ოფიციალური ინფორმაციით, ქართველმა სამართალდამცველებმა ებრაელი ბიზნესმენები ქრთამის შეთავაზების ფაქტზე გასულ წელს დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ბიზნესმენები ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ავთანდილ ხარაიძეს 7 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ იმაში, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები დაერწმუნებინა, არ გაესაჩივრებინათ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება ქართული მხარისათვის ფუქსისა და ფრენკელის კუთვნილი კომპანია „ტრამექსის“ სასარგებლოდ 100 მილიონი დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე. თავის მხრივ, ხარაიძემ ალნიშნული შეთავაზების შესახებ პროკურატურა საქმის კურსში ჩააყენა, რის შემდეგაც ებრაელი ბიზნესმენების დაკავების ოპერაცია დაიგეგმა.**

**თბილისის საქალაქო სასამართლომ რონი ფუქსს თავისუფლების 7 წლით ალკვეთა მიუსაჯა, ზეევ ფრენკელს კი – 6 წლითა და 6 თვით. გარდა ამისა, მოსამართლე ფუხაშვილმა ფუქსს საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 500 000 ლარის გადახდა დააკისრა, ფრენკელს კი – 100 000 ლარის. პირველი ისტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. საქმე ამ დროისთვის უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული. პარალელურად მზადდება სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსთვისაც.**

**ამასთან, ფუქსისა და ფრენკელის ოჯახის წევრებმა პრეზიდენტ სააკაშვილს მათი შეწყალების თხოვნით მიმართეს. შვილები მშობლების გათავისუფლებას ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ითხოვდნენ. შესაბამისი განცხადებით მათ პრეზიდენტის ადმინისტრაციას მიმდინარე წლის 20 აპრილს მიმართეს.**

## ინფორმაცია

### გეგუთის საპყრობილეში პატიმარი გარდაიცვალა

**17 სექტემბერს გარდაიცვალა პატიმარი - ნუგზარ შარიქაძე, რომელიც სასჯელს იხდიდა გეგუთის №14 საპყრობილეში და მისი სასჯელის ვადა 2 თვეში იწურებოდა, ამის შესახებ ინფორმაციას სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს„ ავრცელებს. მათი ინფორმაციით, შარიქაძე დეკემბერში უნდა გათავისუფლებულიყო.**

**– ნუგზარ შარიქაძე იყო მძიმე ავადმყოფი, გადატანილი ჰქონდა 3 ინფარქტი, პატიმრობის პერიოდში დაავადდა ტუბერკულოზით და მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა ინსულტი. პატიმრის გარდაცვალების თაობაზე ოჯახს ამ დრომდე განმარტებას არ აძლევენ და არც სამედიცინო დასკვნა არ წარუდგენიათ მისთვის, – იუწყება „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“.**

ჯი-ემ-ენი

**სკანდალი**

# რა მასალა აქვს სპიკერს ლორთქიფანიძის „ცუდ საქციელზე“?





***პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წარმომადგენელს დიმიტრი ლორთქიფანიძეს „პატიმართა ოჯახებისთვის ფულის გამოძალვაში“ ადანაშაულებს. მართალია, ბაქრაძეს მისთვის ეს ბრალდება პირდაპირ არ წაუყენებია, მაგრამ მათ შორის გამართული კამათისას სწორედ ამ შინაარსის განცხადება გააკეთა. თუმცა, რის საფუძველზე თქვა ეს ბაქრაძემ, ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება.***

***ბაქრაძემ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც თავად გახდა ლორთქიფანიძის კრიტიკის საგანი. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრებმა ლორთქიფანიძის პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციების შემადგენლობიდან ამოღება გააპროტესტეს.***

***შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარის გია თორთლაძის მიმართვის საფუძველზე ლორთქიფანიძე ეუთოს, სუამ-ის და მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო დელეგაციებიდან გამოიწვია.***

ეს საკითხი გუშინ, სესიის დაწყებისას ჯონდი ბალათურიამ დააყენა. მან კოლეგებს სთხოვა, განემარტათ, „რატომ ხდება მათი ფრაქციის შევიწროება, თავდასხმები და რატომ არ აძლევენ კვოტებს როგორც სპიკერატში, ასევე საერთაშორისო დელეგაციებში?“

ბალათურიას გამოსვლას დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადება მოჰყვა, რომელმაც მისი გაწვევა „დაკვეთად“ შეაფასა. საკითხთან დაკავშირებით დაწყებული დებატები სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა და რომ არა მანდატურების აქტიურობა, უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის, შესაძლოა, ხელჩართული ჩხუბი დაწყებულიყო.

აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ბობოხიძის მიერ მამრაძეზე განხორციელებულ თავდასხმამდე ხდებოდა. სიტყვიერი კამათი ჯერ ლორთქიფანიძესა და მელიქიშვილს შორის გაიმართა, შემდეგ კი — ლორთქიფანიძესა და ბაქრაძეს შორის. ბაქრაძემ ლორთქიფანიძეს ზრდილობა და „აიქიუ“ იმის გამო დაუწუნა, რომ ლორთქიფანიძემ სხდომათა დარბაზი იმ დროს დატოვა, როდესაც ბაქრაძე მას მიკროფონიდან მიმართავდა.

**„თუ ჩემი შეფასება გაინტერესებთ, ზედმეტად გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვთ საკუთარ შესაძლებლობაზე და იმაზე, რომ თქვენი ჩამოშორება დელეგაციებიდან, პარლამენტარიზმს დააზიანებს. თუ მომისმენთ კარგი იქნება, მაგრამ როგორც ჩანს უზრდელობაც შემადგენელი ნაწილია თქვენი გადაჭარბებული თავმოყვარეობისა“**, — მიმართა ბაქრაძემ ლორთქიფანიძეს.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც პარლამენტის წევრია, უნდა ჰქონდეს ელემენტარული ლოგიკა და მიხვდეს, რომ დელეგაციაში წარმომადგენელი ჰყავს ფრაქციას და არა სხვას.

**„ნებისმიერ ადამიანს, რომლის „აიქიუც“ ოდნავ მაინც აღემატება მეორე კლასის მოსწავლის „აიქიუს“, ეს კარგად უნდა ესმოდეს“**, — მიმართა დავით ბაქრაძემ ოპოზიციონერ ლორთქიფანიძეს.

ეს ყველაფერი ლორთქიფანიძემ „პოლიტიკურ დევნად“ შეაფასა. მან ამ დებატებისას განაცხადა, რომ ბაქრაძემ „ფეისბუქელი“ მეგობრების პარლამენტში მიყვანის პრაქტიკა პარლამენტარიზმის განვითარებად შეაფასა. ამ დროს კი, ლორთქიფანიძის თქმით, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ ყოველგვარი საერთაშორისო ბერკეტის გარეშე რჩება და საინტერესოა, ეს რამდენად შეუწყობს ხელს პარლამენტარიზმის განვითარებას.

**„ჩემს მიმართ ხორციელდება პოლიტიკური დევნა, ისევე, როგორც მთელი ფრაქციის წინააღმდეგ სხვადასხვა ფობიების გამოყენებით. მე ამ საკითხს ასე ნამდვილად არ დავტოვებ, მივმართავ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომ ხელოვნურად ხდება ფრაქციის ჩამოშორება საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან და ამის ხელშემწყობი, ბატონო დავით, თქვენ ბრძანდებით“**, - მიმართა დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარლამენტის თავმჯდომარეს და პარლამენტის ბიუჯეტის ხარჯზე „ფეისბუქელ“ მეგობრებთან რესტორან „კოპალაში“ პურმარილების მოწყობის შეწყვეტისკენაც“ მოუწოდა.

პარლამენტის თავმჯდომარემ კი ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ პარლამენტარიზმის ცუდი მაგალითი სოციალურ ქსელებში ადამიანებთან ურთიერთობა კი არაა, არამედ „პატიმართა ოჯახებისთვის ფულის გამოძალვაა“.

თუმცა, ბაქრაძემ სხდომაზე არ დააკონკრეტა, რომელ დეპუტატს ადანაშაულებს პატიმრის ოჯახისთვის ფულის გამოძალვაში და ეკუთვნოდა თუ არა ეს რეპლიკა კონკრეტულად დიმიტრი ლორთქიფანიძეს. მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ საზოგადოებასთან შეხვედრა, პირდაპირი კონტაქტი და სამოქალაქო საზოგადოების წახალისება, პარლამენტარის მხრიდან კარგი მაგალითია, ცუდი კი ფულის გამოძალვაა.

**„შემიძლია, გითხრათ, რა არის ცუდი მაგალითი. ცუდია, როდესაც პატიმართა ოჯახებისგან ცდილობ ფულის გამოძალვას დაპირებების სამაგიეროდ. საზოგადოებასთან შეხვედრა კი არის კარგი მაგალითი. ვინ იძლევა ცუდ მაგალითს და ვინ კარგ მაგალითს, ამაზე საზოგადოებამ იმსჯელოს“**, — მიმართა ბაქრაძემ ლორთქიფანიძეს.

როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე ასეთ განცხადებას აკეთებს, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანია და ჩნდება ეჭვი, რომ ასეთ რამეს დამამტკიცებელი საბუთის გარეშე ვერ იტყოდა. მით უმეტეს, რომ საქმე ეხება სისხლის სამართლის დანაშაულს, რომლის დამტკიცების შემთხვევაში დეპუტატს იმუნიტეტი ეხსნება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯება.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ, თუკი მას ამის დამამტკიცებელი საბუთები აქვს, საზოგადოებას ამის შესახებ სრული ინფორმაცია ჰქონდეს და ეს არ დარჩეს მხოლოდ გაბრაზებული სპიკერის პოლიტიკურ შურისძიებად.

მაგრამ ჩვენი დაჟინებული მცდელობის მიუხედავად დავით ბაქრაძემ ჩვენთან საუბარი არ მოისურვა.

ამასთან, იმის გამო, რომ ეს განცხადება ლორთქიფანიძესთან კამათისას გაკეთდა, დიდი ალბათობით, სწორედ მისი მისამართით იყო ნათქვამი და იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ლორთქიფანიძის მხრიდან ამას რა რეაქცია მოყვება. თუკი ლორთქიფანიძე მას ყოველგვარი რეაქციის გარეშე დატოვებს, ცხადია, გაჩნდება ეჭვები განცხადების ნამდვილობასთან დაკავშირებით.

ამიტომაც ახლა მნიშვნელოვანი ის არის, რას მოიმოქმედებს ლორთქიფანიძე. თუმცა, ჯერჯერობით ესეც გაურკვეველია. დიმიტრი ლორთქიფანიძე ამ ეტაპზე მხოლოდ იმას ამბობს, რომ ეს „ბაქრაძის მხრიდან ულირსობის დემონსტრირება იყო“.

როგორც ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, „სხდომაზე დავით ბაქრაძემ მისი რეალური სახე აჩვენა, რაც ულირსობის დემონსტრირება იყო“. მისი თქმით, კონკრეტულ თემაზე საუბრისას, რომელიც უკავშირდებოდა ახალი პოლიტიკური ფრაქციის აქტივობას საპარლამენტო ცხოვრებაში და პარლამენტარიზმის განვითარების საკითხებს, დავით ბაქრაძემ ვერ აიტანა მის მიმართ გაკეთებული საბრალდებო განცხადება „ფეისბუკელ“ მეგობრებთან ბიუჯეტის ხარჯზე ქეიფთან დაკავშირებით. ლორთქიფანიძის თქმით, „ამ შემთხვევაში ბაქრაძეს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა ტალახი ესროლა ოპონენტისთვის სახეში და ბინძური მეთოდების გამოყენებით მისთვის ცილი დაეწამა“.

**თეონა ხარაბაძე,**
Presage.tv

**გაბრაზებულ გულზე**

# აბა პარლამენტის მუშტი-კრივში ნახეთ ვინ არის კაკო და... ჟვანიას ვირთხების გნიასი...

**იმერეთში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულზე და ამჟამად ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატ აკაკი ბობოხიძეზე მოგახსენებთ. მოგახსენებთ და იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს ის აკაკიკაკოკაკია, რომელმაც ჯერ კიდევ 2005 წელს დაანახვა საზოგადოებას, რომ მშობლიური „ნაცისტური“ პარტიის ინტერესების დასაცავად, არც მუშტი-კრივს მოერიდებოდა. როგორც იტყვიან, დღისით მზისით, მთელი დუნიის დასანახად, არც მეტი არც ნაკლები, ტელეკომპანია „მზეს“ ჟურნალისტი დაჟეჟა.**

შეგახსენებთ იმასაც, რომ 2005 წელი ის დრო იყო, როცა ე.წ. ნაციონალურ არხებზე ჯერ კიდევ გადიოდა პოლიტიკური თოქშოუები და ის ჟურნალისტი ერთი ასეთი შოუს წამყვანი იყო. ის ჟურნალისტი-მეთქი იმიტომ, რომ არც მისი სახელი მახსოვს და არც მისი გადაცემის. იმიტომ რომ იმის მაგივრად, როგორც ასეთ შემთხვევაში დემოკრატიულ დასავლეთში მოხდებოდა — ჟურნალისტის გამლახავი პოლიტიკოსის კარიერას სამუდამოდ ჯვარი დაესმებოდა, მოხდა პირიქით.



მოკლე ხანში იმ ჟურნალისტის გადაცემა დაიხურა და საერთოდ გაქრა ის კაცი არა მარტო ჟურნალისტიკიდან, არამედ, საერთოდ ქვეყნიდანაც. და ამიტომაც არ მახსოვს მისი სახელი. აკაკიკაკოკაკი კი, იმერულ-კახურად თუ ვიტყვით, მართალია ერთი ხანობა ყასიდად იყო გადამდგარი, მაგრამ ახლაც რომ ხელისუფლებაშია და მუშტი-კრივის ჰობის რომ ვერ ღალატობს, ეს კრივის „მსხალივით“ უემოციო პეტრე მამრაძეზე იერიშისას დაგვანახვა.

ჰოდა, ერთგულება დაუფასა მიშამ კაკოს და დღეს არა მხოლოდ ქუთაისის მაჟორიტარი ბრძანდება, არამედ პირველად მან გაახმიანა ქვეყნის დამღუპველი იდეა პარლამენტის ქუთაისში გადატანისა. აკაკიკაკოკაკის უნდოდა სამსახური მშობლიურ სახლთან ახლოს ჰქონოდა. ეგ არის და ეგ და აბა რა მისი ბრალია, თუ ეს პატარა ანცობა მიშამ დედაქალაქის გადასატანად გამოიყენა?

მაგრამ დავუბრუნდეთ მთავარს — ნეტავი რა თქვა ისეთი პეტრე მამრაძემ, რომ ასე აღშფოთდა და გადაირია ქუთაისელი დეპუტატი?

რავა, პეტრეიეზე ვარესი არ უთქვიათ, გინდა პარლამენტში და გინდა მის გარეთ, კაკოია ბიჭო? პეტრეიე და ტალიავინიე სათ იყვენ, სიმონ, როცა ერთი პოეტი ყვიროდა, მიშაიამ დეიწყო მაი ომიო, ჰა? ის პოეტი დღესაც მაგას ამბობს და უარესი კიდო, გამოხოხებული სომეხიაო!

მარა იმ პოეტსა და მისნაირებთან ახტომის ტაკო არა აქვს კაკოს. იმიტომ რომ კლასიკური კრივის ილეთები არ გაუვა და ერთი თბილისური თაური მოხვდება კბილებში და ამიტომ მამრაძისნაირ „გრუშაზე“ უმტკიცებს ერთგულებას პატრონს.

რაც შეეხებათ ჟვანიას ვირთხებს, სწორედ იმათმა, კოკა გაბაშვილმა და მიშა მაჭავარიანმა, ამ ყველა დროის და მთავრობის ქლესებმა მისცეს „ატმასკა“ აკაკიკაკოკაკის. მიშამ კიტოვანი, ჯაბა და მხედრიონიც ახსენა, ალბათ ყვარყვარესავით უნდოდა ეთქვა — იყო ბნელი და უკუნი, მოვიდა მიშა და გათენდა, ამოვიდა მზე, გაიხარე ქართველო, წამებულო! თითქოს ეგ და გოკა მამამისიანად არ უგორდებოდნენ ფეხებში, კიტოვანსაც და განსაკუთრებით ჯაბა იოსელიანსაც მაშინ, როცა ჯაბა ჯაბობდა. მაგასაც თავი დავანებოთ, მხედრიონს რომ მახსენებ, ერთი გრამი სისხლი არა გაქვს, რომ გაწითლდე მაინც — რა, სადმე შორს წავიდა მხედრიონი, ნიკა რურუა მანდ არა ჰყავთ თავის ჟორიკიანად?

თუმცა რა, ენას ძვალი არა აქვს და ეგეც არ იყოს, მაგათ და პლუს ბარამიძე-გოგორიშვილებს, თვალი არ დაუხამხამებიათ ისე უღალატეს ზურაბ ჟვანიას და საკუთარი კეთილდღეობის სანაცვლოდ დღემდე პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. თორემ, აგვისტოს ომის არ იყოს, ქეყანამ იცის რომ ჟვანია გაზით არ გაგუდულა.

იმიტომ ვუწოდე ამათ ჟვანიას ვირთხები, რომ ისინიც და სხვებიც (რა მნიშვნელობა აქვს ვისია, ვირთხა, ვირთხაა) ჩასაძირად განწირული გემის ვირთხებივით იქცევიან. ოღონდ კი არ გარბიან გემიდან, პირიქით, გემზე 5-ვარსკვლავიანი კაიუტების შენარჩუნება უნდათ. რადგან ნაცების კრეისერი ჩაძირვას არ აპირებს, უბრალოდ მიშას მომავალ არჩევნებზე ეკიპაჟის გადახალისება მოუწევს. არა იმიტომ, რომ მეტნაკლებად ობიექტური არჩევნები გველოდება. არა, სადაც აქამდე წერდნენ თუ ვის რამდენი ადგილი ექნებოდა პარლამენტში, ისევ იქ და ვანო დაწერს.

უბრალოდ ახალი კონფიგურაცია იქნება. „ახლები“ და ვითომ პროტესტანტი „ექსიანებიც“ ხომ უნდა დააკმაყოფილოს მიშამ. არსებული საპარლამენტო „ოპოზიცია“ ხომ თავისთავად და ვის ხარჯზე? რა თქმა უნდა, ნაცების სიის შეკვეცის ხარჯზე. რითიც ორს კი არა, რამდენიც უნდა იმდენ კურდღელს დაიჭერს ხელისუფლება.

ერთი რომ დასავლეთში ექნება სალაპარაკო — ნახეთ რა დემოკრატი ვარ, როგორი მრავალპარტიული პარლამენტი მყავსო და მეორეც, უკვე „ოპოზიციის“ დახმარებით ეყოლება საკონსტიტუციო უმრავლესობა. და მესამე, ჟვანიას გუნდის თუ სხვა ვირთხების სახით, ოდიოზურ, გულისამრევ ხალხსაც მოიშორებენ. ეს არის და ეს, კაკოიას და სხვების ხუნტრუცის მიზეზიცა და საბაბიც, რომ შტატების შემცირებაში არ მოყვნენ. არჩევნებამდე არც ისე დიდი დროა და მსგავს წარმოდგენებს კიდევ მრავლად ვიხილავთ...

**დავით მხეიძე**

№ 182. პარასკევი, 30 სექტემბერი, 2011 წელი.

# ჯანსუღ ჩარკვიანი — 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვლავაც მრავალჟამიერ!..

გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ბედნიერია ადამიანი, რომლის გულიც მამულის სიყვარულით მგერს, ვინც იცის ტრადიციის, მეგობრობის, თავისუფლების, მშვენიერების, ტკივილისა და მწუხარების ფასი.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში მოგიწიათ ცხოვრების სერიოზული ნაწილის გატარება, თქვენი შემოქმედების მთავარი მიმართულება ამ ღირებულებების მსახურება იყო და არის დღესაც.

გილოცავთ და გისურვებთ კვლავაც მრავალჟამიერ გეღვაწოთ ღვთისა და მამულის სამსახურად.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II.



„მწყურვალისათვის მიმტანი მე წყალი"...

# გვიყვარხარ და გვეამაყები!..

**80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჯანსუღ ჩარკვიანი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ბატონო ჯანსუღ!**

ქართული ლექსის, ქართული სულიერების რაინდო და მეციხოვნევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული პატიოსნებით, ქართული ქედუხრელობით გამორჩეულ ჭეშმარიტ შემოქმედს, ერისკაცს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ მძლავრი და ეროვნული მუხტით სავსე თაობის ერთ-ერთი მედროშე ბრძანდებით, რომელიც სამწერლო ასპარეზზე წინა საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა და ახალი სუნთქვით, ახალი ფერებითა და წახნაგებით გაამდიდრა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა...

დიახ, თქვენმა მღელვარე და მჩქეფარე პოეტურმა ცხოვრებამ ჩვენ თვალწინ ჩაიარა, უსაზღვროდ მადლიერნი ვართ იმისა, რომ თქვენს პირველსავე ლექსებს, ნიჭიერების, განახლების, ძიების დაუცხრომელი ჟინით რომ იყო აღბეჭდილი, იმთავითვე დაედო საოცარი გრძნობა მამულისა, სამშობლოსი, საქართველოისა, რომლის უზადო და უებრო სამსახურში ილვწით ათწლეულების განმავლობაში.

თქვენი პოეზია, ვაჟკაცური და ომახიანი, ასევე უნაზესი ლირიზმით გამსჭვალული, შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, რომელსაც ძველქართული დიდებული საგალობლების ექოსავით ჩაესმის თქვენი სულიერი ღაღადისი. სინათლე და სისადავე, ლირიკული ელვარება, მოქნეული ფრაზის სინატიფე, მუსიკალობა, ფერადოვნება, ემოციურ ხილვათა ფეიერვერკი გამოარჩევს თქვენს სტრიქონებს, რომელთა საუკეთესო ნაწილი ნებისმიერ ანთოლოგიას დაამშვენებდა. გვიხარია, რომ მრავალზე მრავალი მშვენიერი ქართული სიმღერა სწორედ თქვენი ლექსების მადლითაა გაცისკროვნებული.

რა ორგანულად ერწყმის თქვენს პოეზიას თქვენივე მებრძოლი პუბლიცისტიკა, პროზაული ნაწარმოებები, ჩარკვიანისეული ვაჟკაცობისა და შემართების დასტური.

გვიხარია ისიც, რომ თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებთან ზიარების საშუალება აქვთ ინგლისელ, პოლონელ, ჩეხ, სერბ, ხორვატ, ბულგარელ, სომეხ, აზერბაიჯანელ, უკრაინელ, იაპონელ, უნგრელ მკითხველებს.

თავადაც დიდი სიყვარულით თარგმნეთ ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას, მიკოლა ბაჟანისა და პავლე ტიჩინას, ივან დრაჩისა და ვიტალი კოროტიჩის, ჰაინესა და ეუჯენიო მონტალეს, ოვანეს თუმანიანისა და სილვა კაპუტკიანის, ნარიმან ჰასანზადესა და ნიზამის პოეზია...

თქვენი სახით თანამედროვე ქართულ მწერლობას ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე ჰყავს, სადაც კი გიმუშავიათ, ყველგან სიკეთესა და მადლს თესავდით, ყველგან ლიდერის თვისებებით გამოირჩეოდით, ყველგან საერო საქმეების დაუმადლებლად და დაუყვედრებლად კეთების უებრო ნიმუშებს იძლეოდით. მუშაობით კი სად არ გიმუშავიათ, სად არ გიღვაწიათ. იყავით ჟურნალების „დილის", „დროშის", „ცისკრის" მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი. წარმოუდგენელია საგანგებოდ არ აღინიშნოს თქვენ მიერ გაწეული სწორუპოვარი ღვაწლი ჟურნალ „ცისკარში". შეიძლება თამამად ითქვას, რომ იმდროინდელი „ცისკარი", ქართული სულიერების ჭეშმარიტი ოაზისი, სიმართლის, თავისუფლების კუნძულს წარმოადგენდა და დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ქართველობას უსწორეს ორიენტირებს უსახავდა აღთქმული ქვეყნისკენ.

არჩეული იყავით თავისუფალი საქართველოს სამი მოწვევის დეპუტატად, მსოფლიოს პენ-კლუბის ქართული პენ-ცენტრის პირველ პრეზიდენტად, საზოგადოება „თბილისელის" პრეზიდენტად.

ამჟამად გაზეთ „ქართული სიტყვის" რედაქტორი ბრძანდებით და მართლაც ხმალამოღებული იბრძვით საქართველოს მტრების წინააღმდეგ...

ღვაწლი, გარჯა და რუდუნება დაგიფასდათ. მონიჭებული გაქვთ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები, სრულიად სომეხთა პრემია, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება. მთელი ცხოვრება რაინდულად იცხოვრეთ და, რა გასაკვირია, რომ ქართული პოეზიის რაინდის წოდება მოგენიჭათ ახლახან. დაჯილდოებული ხართ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, ღირსების ორდენით... არჩეული ხართ თბილისის, მცხეთის, სოხუმისა და ბორჯომის საპატიო მოქალაქედ.

**ბატონო ჯანსუღ!**

გვიყვარხართ და გვეამაყებით, იმიტომ რომ რვალივით მტკიცეა და შეუვალი თქვენი რწმენის კედელი, რომლის დუღაბიც საქართველოს უპირველეს შვილთა სისხლითაა განმტკიცებული.

გვიყვარხარ იმიტომაც, რომ ყველა ჩვენგანს კარგად ახსოვს თქვენი ძმობისა და თანადგომის ფასი, ნალდი და უტყუარი ქართული გულის შუქითა და მადლით რომ იყო მუდამ გაცისკროვნებული.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ლამაზ საიუბილეო თარიღს პოეტსა და ერისკაცს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს სადიდებლად, რომელსაც აგრერიგად სჭირდება თქვენი მართალი, ვაჟკაცური, ომახიანი შეძახილი.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# თქვენ საჭირო ხართ, ბატონო ჯანსუღ!

მშფოთვარე და აბობოქრებული ტალღებივით სწრაფად გარბიან ცხოვრების წლები. ჩვენ — „დროშელები" და ბატონი ჯანსუღი ერთად შევხვდით მისი ცხოვრების „60", „65" და „70" წლების საიუბილეო თარიღებს, მერე კი, „მსახვრალმა ხელმა" მკაცრი განაჩენი გამოგვიტანა: 130-წლიანი „ქართული დროშა" დაგვიხურეს და ჩვენც, როგორც ეული, გავთითოკაცდით... არადა, მიუხედავად ძნელბედობისა, რა ტკბილად განვვლეთ ათ წელზე მეტი.

არ მეგონა, თუ ამ ჩემს პატარა, მოკრძალებულ მილოცვაში სენტიმენტალური თუ მელანქოლიური განწყობა დამეუფლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძირძველი ტრადიციების ჟურნალ „დროშისა" და მისი გამორჩეული თავკაცის დავიწყება არც ისე ადვილია.

თუმცა, რა დავიწყებაზე ვამბობთ, ბატონი ჯანსუღი განა თავს ვინმეს დაავიწყებს? ის ყველგანაა, სადაც კი თვალხილული ადამიანის მზერა მისწვდება, მის ჭეშმარიტ პოეზიასა და მართალ სიტყვას ყავლი არასდროს გაუდის, დღესაც ისეთივე ხიბლი და ძალა აქვს, როგორიც ათეული წლების წინ, მისი ცხოვრების გარიჟრაჟზე ჰქონდა.

**ვწერ, ვშლი და ისევ... ვწერ, ვშლი და ისევ...**
**ვინძლო, სიბერის დროსაც გადავწვდე,**
**მკითხავ: — როდის ვწერ, გპასუხობ მყისვე —**
**მე მაშინაც ვწერ, როცა არა ვწერ...**

ჩვენს დროში ძნელია, ვინმე გააოცო პოეტური აღმაფრენით, აზრის სიწრფელითა და სილაღით, მჭევრმეტყველებით. ეს ის თვისებებია, გონებამახვილური იუმორით, კაცთმოყვარეობითა და თავმდაბლობით. ეს ის თვისებებია, ბატონ ჯანსუღს ღვთის შეწევნით და ბუნების ძალით უხვად რომ აქვს მომადლებული.

მისი პოეზიის თავანკარა, პირველქმნილი წყაროები მისივე პოეტური სულის წვასთან არის წილნაყარი, ამიტომაც ადვილად იკვლევს გზას მკითხველისა და მსმენელის გულისაკენ.

ახლაც აქ მიდევს რვა წლის წინათ ბატონ გია ჯოხთაბერიძის თანადგომით გამოცემული ბატონი ჯანსუღის სამაგიდო ოთხტომეული. სხვა დროშელებთან ერთად, მეც წილად მხვდა ბედნიერება, სულ მცირე წვლილი შემეტანა მის ხორცშესხმაში... ეს რომ არა, ისე ღრმად და საფუძვლიანად ვერ შევძლებდი უფრო ახლოს გამეცნო ბატონი ჯანსუღის შემოქმედება, როგორც მწერლის, პუბლიცისტისა და ესეისტის (ვიცი, ამაზე გამიბრაზდება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა), ასევე ჭეშმარიტად დიდი პოეტისა, დიახ, დიდი პოეტისა, რადგან, როგორც თავად ერთ-ერთ ლექსში წერს:

**ჯერ არ ყოფილა ქვეყნად**
**ფუჭად დაღვრილი სისხლი!..**

მადლობას გწირავთ, ბატონო ჯანსუღ, რომ მენდეთ, მომეცით საშუალება, თქვენს უზადო შემოქმედებას უფრო ახლოდან ვზიარებოდი.

გულწრფელად გილოცავთ კიდევ ერთ ლამაზ საიუბილეო თარიღს — თქვენი უმშვენიერესი ოჯახის წევრებთან ერთად, რომელთა შორისაც ორ სეხნია ქალბატონს — თქვენს სათნო და უკეთილშობილეს მეუღლეს ქალბატონ ირმასა და შვილიშვილს, არამარტო თქვენთვის, მთელი ქვეყნისათვის საამაყო შვილს — ირმა გიგანს განსაკუთრებულად გამოვყოფდი.

თქვენდამი მოძღვნილი ერთ-ერთ მილოცვის ბარათში ევგენი ევტუშენკო ამბობს: „პოეტი იმდენი წლისაა, რამდენი წლისადაც გამოიყურება მისი ლექსიო". ჭეშმარიტად ასეა, განა თქვენს პოეზიას ეტყობა წლები და დაღლა?.. მთელი თქვენი ნალვაწ-ნაამაგარი თანამედროვეობას ადევნებული, ზოგჯერ წინმსწრები სტრიქონებია, რომელთაც მუდამ სიახლისა და სიჩაუქის სურნელი დაჰკრავს...

ბატონო ჯანსუღ, კიდევ ერთხელ გეშენებინოთ რვალივით მტკიცე და ურყევი რწმენის კედელი!

გავკადნიერდები და თქვენეულ სტრიქონებში თავკიდურ ასოებს შევცვლი და ასე მოგმართავთ:

თქვენ საჭირო ხართ, საჭირო, გესმით?!

დროშელთა სახელით
**ნუნუ კუპრეიშვილი**



პატრიარქი ლოცავს და საჩუქარს გადასცემს პოეტს

# პოეტი ტაძარში

რა თქმა უნდა, ღვთის ნება იყო: მოწამე პისტის ხსენების დღე 30 სექტემბერი „ჩარკვიანების დღედ" აქცია მშვენიერმა პისტი გელოვანის ქალმა – ყოველ 30 სექტემბერს სძენდა იგი შვილს უსაყვარლეს მეუღლეს ავდიდ ჩარკვიანს: 1931 წლის 30 სექტემბერს ჯანსული დაიბადა, ორი წლის შემდეგ 30 სექტემბერს ლუიზა, ხუთი წლის შემდეგ 30 სექტემბერს კი ჯიმშერი...

მაშ... ყველაფერი ღვთის ნება იყო...

სამწუხაროდ, რამდენიმე წელიწადია, უდაიაოდ ხვდებიან ძმები 30 სექტემბერს... არადა, „ჩარკვიანების დღე" განსაკუთრებულია ამჯერად – ჯანსული ოთხმოცისა გახდა, ჯანსული – ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, მტრის ჯიბრზე, სიცოცხლის ხალისი რომ არ დაუკარგავს და, ყოველი შეხვედრისას მადლიანი ხუმარსიტყვითა თუ ცინცხალი ანეკდოტით სულს მოგათქმევინებს ამ არეული დროის გადამკიდეს.

მაშ... ჯანსულ ჩარკვიანი – წლევანდელი 30 სექტემბრის მთავარი მოქმედი პირი...

თუმცა ამ თარიღს უკვე რამდენიმე დღეა ეხმაურება პრესა, რადიო, ტელევიზია, 28 სექტემბერს კი სამების საკათედრო ტაძარმა უმასპინძლა პოეტს, მის მართლაცდა ღირსშესანიშნავ თარიღს, თუმცა ადვილი არ ყოფილა გზა ტაძრისაკენ და უფლება იმის მოპოვებისა, რომ საქართველოს სულიერების ამ უდიდეს ტაძარში, ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში შეკრებილი თაყვანისმცემლების და, უპირველესად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის წინაშე ემჭექარა თავისი ლექსებით ერთ-ერთ ღირსეულ მეოცესაუკუნელს, სახელოვან „სამოციანელთა" ერთ-ერთ სიამაყეს.

ეს შეხვედრის დასასრულისკენ იყო, მანამდე კი დარბაზში მობრძანებულმა უწმინდესმა და უნეტარესმა დაგვლოცა ყველა, ბატონ ჯანსულს მიულოცა დაბადების დღე და ბოლომდე ჩვენთან ერთად, ანუ თავის მრევლთან ერთად შესცქეროდა საღამოს მიმდინარეობას, უსმენდა გამომსვლელთა გულმხურვალე მიმართვებს იუბილარისადმი. აქ კი, შეიძლება თქმა, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი მაყვალა გონაშვილი (რომელმაც მწერალთა კავშირის სახელით ვაჟა ფშაველას პრემიის მინიჭებაც მიულოცა ჯანსულ ჩარკვიანს), თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მწერალი რევაზ მიშველაძე (რეზომ, პირდაპირ, „მიჰქარგ-მოჰქარგა" იქაურობა), აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პოეტი რევაზ ამაშუკელი, პროფესორი ვალერი ასათიანი (სწორედ მას „ვპარავ" ფრაზას „ტაძრისაკენ მიმავალი გზა"), პოეტი ლია სტურუა, პოეტი გენო კალანდია, პოეტი დავით შემოქმედელი, გორელი სტუმარი, პოეტი ჯემალ ინჯია, მხატვრებმა ქეთი მატაბელმა და რეზო ადამიამ თავიანთი ნახატები უსახსოვრეს მეგობარ პოეტს... როგორც იტყვიან, ტაშისცემით დაინგრა დარბაზი, როდესაც მსახიობმა ელდინო სალარაძემ შესანიშნავად წაიკითხა პოეტის რამდენიმე ლექსი, როდესაც თვითონ ჯანსულმა და კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა ერთად შეასრულეს „ერთობლივი" სიმღერა, როდესაც ჯანსულმა თავის სიამაყესთან, თავის შვილიშვილთან, უნიჭიერეს ირმა გიგანთან ერთად იმღერა, როდესაც „ერისიონისა" და „ქართული ხმების" ბიჭებმა თითქმის აიყოლიეს სიმღერაში დარბაზი...

...უწმინდესმა, დღევანდელი საქართველოს ერთადერთმა იმედმა ილია მეორემ კიდევ ერთხელ დაგვლოცა და „ქართული ხმებისგან" „მრავალჟამიერის" მოსმენის შემდეგ თავისებური კეთილი ღიმილით დაგვემშვიდობა...

„რა კაციც არი, საღამოც ისეთი გამოვიდა... ჯიგარია ჯანსული" – ამბობს ჩემს გვერდით მდგარი ცნობილი მხატვარი გივი თოიძე, მის აზრს იზიარებენ ჯანსულის უახლოესი მეგობრები გურამ (კოია) გომართელი და მისი მეუღლე ქალბატონი დოდო, ალტაცებული არიან მეგობრისადმი საზოგადოების ასეთი განწყობით პოეტი ჯემალ ჩახავა, პოეტი და მწერალი ნუგზარ წერეთელი, ცნობილი ეკონომისტი და პუბლიცისტი ანზორ ბაბუხადია, რომელმაც, სხვათა შორის, თავისი „ჟიგულით" (მგონი, ანზორის მეტს რომ აღარავის ჰყავს თბილისში) ქალაქის ცენტრისკენ წამოგვიყვანა მე და ფოტოაპარატურითა და ფოტოკადრებით დატვირთული ცნობილი ფოტომემატიანე დემიკო ლოლაძე...

გარეთ კი შემოდგომის ისეთი მყუდრო საღამო იდგა, ჯანსულ ჩარკვიანის უფროს მეგობარს და მისი ნიჭის ერთ-ერთ დამლოცველს გიორგი ლეონიძეს რომ ათქმევინა: „ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი!.."

ღმერთო, ასეთი საღამოები არ მოუშალო თბილისს, საქართველოს!

ვილენ მარდალეიშვილი

ვალერი კვარაცხელია

## ისევ უნდა გვითამადო!

არ წავიდა ეს ცხოვრება,
როგორც ვვარაუდობდით,
ქვეყნად დარდი და ტკივილი
დაგროვილა ფუთობით...

ვნახეთ, თავისუფლებასაც
ფერი ჰქონდა სისხლივით,
ლომთა ხვედრი ყოფილა და
ჩვენ რა თავში ვიხლიდით?!

მე აქლემებს ვერსად ვხედავ,
კატებს ვხედავ დარცხვენილთ,
ყველა მხარეს წავიქეცით,
ყველა მხარეს ვმარცხდებით!

შენ ვალებიც გაისტუმრე,
მწყურვალს წყალი შეასვი,
სამშობლოს ხომ უმღერე და
ხოტბაც ბევრჯერ შეასხი...

მაგრამ ფერი გასცრეციათ
შროშანებს და გვირილებს,
დაიკარგა, დაიკარგა,
დაიკარგა ირინე!

რასაც ველარ ველეოდით,
თუმცა უკვე ველევით,
ჯერჯერობით მყარადა დგას
შენი „რწმენის კედელი".

ისევ უნდა გვითამადო
ძველებური ხალისით,
თუ გველირსა, თუ გველირსა
საქართველოს აისი!

ჯანსულ ჩარკვიანი

## მზისადმი

მზეო, ჩემო წინაპარო,
იბერიის ტომისა ხარ,
ბნელში უნდა ილამპარო,
ფაფრიანი ლომისა ხარ.
დილით გამომცხვარო პურო,
დედაჩემის თონისა ხარ;
საქართველოს ნათლის ფარო,
მამაჩემის თორისა ხარ,
ხან რო ღრუბლებს მოიფარებ,
გლოვისა და წყრომისა ხარ;
ჩემი დილამშვიდობის და
ჩემი მწუხრის ომისა ხარ.
ფერდობზე რომ გამოჩნდები,
მოგოგმანე გნოლისა ხარ,
არაგვზე რომ დაბრძანდები,
დამსხვრეული ბროლისა ხარ.
იონჯაში გაერევი,
გვირილების მოლისა ხარ;
გვერდულად რომ ჩაიცინებ,
უცისფრესი თოვლისა ხარ.
მზეო, ჩემო წინაპარო,
იბერიის ტომისა ხარ,
ბნელში უნდა ილამპარო,
ძაფრიანი ლომისა ხარ.

## სახელი

მე მტკვრის ნაპირზე ვეძებდი სახელს,
მეძახდა პირჯვრის გადამსახველი,
მტკვარზე ნუ ეძებ, არაგვზე ნახე,
შენს ტომს არაგვზე დარჩა სახელი.

შენს ტომს არაგვზე დარჩა სახელი
შენი წინაპრის მოჭრილ თავებთან.
და შენი გულის სევდაც, ნაღველიც,
ნახე არაგვის შესართავებთან.

შენს ტომს სახელი არაგვზე
დარჩა,
უჭირისუფლოს, თვალეგახელილს.
იმ ჩალისფერი დროშების ფარჩა
ნიშნია შენი ძველი სახელის.
ნაქარიშხლევი და ნაავდრები
დრო მტლად ედება ძმათა იარებს,
გულდაჩეხილი მუზარადები
აცვიათ დევებს, ცხრათავიანებს.

ყველა სიცხეში კვნესის ნესტანი,
აჰყევი კედელს გველის დაგესლილს,
დიდი სახელის პიედისტალი –
დგას ეშაფოტი ულამაზესი.

იმღერე, გულო, სიმღერა ხვალის,
არაგვის პირი დამაქარგვინე.
თეთრი დალივით შიშველი ხმალი
ახალ სახელებს დაგვაკარგვინებს.

უმღერე, გულო, იმ ძველ ნაპრალებს,
მშობელი მიწის გული გრილია,
ერთი სიცოცხლე რას დაგვაბრალებს
ასი სიკვდილი გამოგვიგლის...

## ლამაზი სიკვდილი

როცა დაიწყებს წყარო საუბარს,
მზეს რომ მისწვდება ირმის ბღავილი,
შემოასკდება როცა ალუბალს
მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი.

როცა კვირტები აფეთქდებიან,
მთებს გადიფრენენ ფრთების
ტკაცუნით,
როცა ირმები დაფეთდებიან,
მზეს შეხედავენ რქებში ჩაწურულს,
როცა მერცხალი ზეცას შეუტევს,
როცა მიწაზე მზე და დარი დგას,
ირემი აპრილს კარებს შეუმტვრევს
და ატმის რტოებს რქებად დაიდგამს,

როცა მზე მინდვრებს კალთებს
დაუცლის
საგვირილოდ და საენძელოდა,
ირემი ირემს ბალახს გაუწვდის
და რქას მიურტყამს
სადღეგრძელოდა,

მოიგონებენ წარსულს მკვიდრები,
აბუბუნდება ქვეყნად ყველა მთა.
გავდიადდები,
გავსულდიდდები
და ავენთები მამულს კელაპტრად.

დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

## ბეთანია

„ბეთანია – სახლი სათნოებისა და სახლი მორჩილებისა და სახლი დიდებისა".
საბა

შენ არ გინახვს ჩემი ხელები,
ჩემი თვალები და ჩემი მხრები –
გადარეული თეთრი ცხენებით
და შორეული ზარების ხმებით.
შენ არ გინახავს ჩემი ნისლები,
მთიდან ქორების ფრთით მოტანილი,
თეთრი ქარებით როგორ ივსება
დღეები ლურჯი, ქრისტეს ტანივით.
შენ არ გინახავს ფესკის სიშორე,
ფერი ფასკუნჯის, ფერი ქედნების,
მირონის სურნელს როგორ იშრობენ
ჩემი სხეულის ძველი კედლები.
შენ არ გინახავს, მოდი და ნახე,
რომ ეს ტაძარი ჩემი ტანია...
სათნოებისა ვარ შენი სახლი,
მორჩილებისა ვარ შენი სახლი,
შენი სხეულის ვარ ბეთანია.



სიმღერა „ქართული ხმების" ბიჭებთან ერთად

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**„TODAY ZAMAN"-ის შეფასებით, „ევროკავშირს სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონფლიქტებისადმი ორაზროვანი და არაეფექტური დამოკიდებულება აქვს", ამას იუწყება სააგენტო „პირველი".**

# „ევროკავშირს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებისადმი ორაზროვანი და არა-ეფექტიანი მიდგომა აქვს"

როგორც თავის სტატიაში საგარეო პოლიტიკის ექსპერტი ბაქოს სტრატეგიული კვლევების ცენტრში და კავკასიის საერთაშორისო ჟურნალის აღმასრულებელი რედაქტორი ზაურ შირიევი აღნიშნავს, „ევროკავშირის მიერ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონის შესახებ ორი დამოუკიდებელი რეზოლუციის მიღებამ მთელი შავიზღვისპირეთის რეგიონის ირგვლივ პოლიტიკური გაურკვევლობა შექმნა".

„2009 წელს ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მისი „აღმოსავლური პარტნიორობის" ინიციატივაში ჩართო. პროექტი „რბილი ძალის" პოლიტიკას ეფუძნება, თუმცა ამ „რბილი ძალის" სტრატეგიას თანმიმდევრული ქმედებები თითქმის არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის 20 მაისს ევროპარლამენტმა „სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სტრატეგიის საჭიროების შესახებ" რეზოლუცია მიიღო. მასში ხაზგასმულია, რომ „გაყინული კონფლიქტები ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის დაბრკოლებაა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ცხოვრების დონის გაუმჯობესებას უშლის ხელს". სამწუხაროდ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მნიშვნელოვან წინსვლას ამ კონფლიქტების გადაწყვეტაში დღემდე ელოდებიან. ევროკავშირმა სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა იმით, რომ ამ წლის 20 იანვარს ახალი რეზოლუცია — „ევროკავშირის სტრატეგია შავი ზღვის რეგიონში" მიიღო. ერთი ინსტიტუტის მხრიდან ორი დამოუკიდებელი რეზოლუციის მიღებამ მთელი შავიზღვისპირეთის რეგიონის ირგვლივ პოლიტიკური გაურკვევლობა შექმნა", — აცხადებს შირიევი და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ მეორე რეზოლუციაში მთიანი ყარაბახის კონფლიქტზე არც ერთი სიტყვა ნათქვამი არ არის.

„პირველ რიგში, არის თუ არა სამხრეთ კავკასია შავი ზღვის სტრატეგიის ნაწილი? — თუ არის, მაშინ ეს ბოლო რეზოლუცია თანამშრომლობას რატომ ზღუდავს? მეორეც, ევროკავშირის შავი ზღვის რეგიონის სტრატეგია რეგიონული კონფლიქტების მოგვარების აუცილებლობას ხაზს უსვამს და ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციას რეალურ საფრთხედ




აღწერს და ამავდროულად კიდევ ერთ და უფრო მნიშვნელოვან — მთიანი ყარაბახის კონფლიქტს არ ახსენებს. ასეთი უთანასწორობა დაურწმუნებლობის განცდას აჩენს და ევროკავშირის და მისი ინსტიტუტების მიმართ ნდობას ამცირებს. ევროკავშირის პოლიტიკის ორაზროვნება სამხრეთ კავკასიის რეგიონული კონფლიქტების მიმართ 20 იანვრის რეზოლუციით არ შემოიფარგლება. ევროკავშირი ყოველთვის აცხადებდა, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, თუმცა აზერბაიჯანი ევროკავშირის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებულ მიდგომებში ორმაგ სტანდარტებს ხედავს. მაგალითად, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა ქეთრინ ეშტონმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ვიზიტი დაგმო. მეორეს მხრივ, ევროპარლამენტის წევრები დროდადრო სტუმრობენ აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის რეგიონს, რომელიც სომხეთს აქვს ოკუპირებული და ევროკავშირის ჩინოვნიკები ამაზე არ რეაგირებენ იმ მოტივით, რომ ეს „პარლამენტის წევრების დამოუკიდებელი ვიზიტებია და არა ევროკავშირის ოფიციალური ვიზიტები". ეს შერეული გზავნილები, რომელიც ევროკავშირისგან მოდის, სერიოზულად არყევს მის ისედაც შეზღუდულ უნარს, კონფლიქტების მოგვარების პროცესს ხელი შეუწყოს და მთელ მის რეგიონულ სტრატეგიას ზიანს აყენებს", — აცხადებს ზაურ შირიევი.

მისივე აზრით, „ამ რეგიონში კონფლიქტების ეფექტურ მოგვარებას ხელს უშლის ის, რომ მშვიდობის აღდგენის ფუნდამენტურ პროცესში კონსტრუქციული მონაწილეობის სურვილი არ არსებობს".

„გრძელვადიან პერსპექტივაში, თუკი რეგიონში ეს „არც ომი, არც მშვიდობა" სიტუაცია შენარჩუნდება, როგორც ორმხრივი (მრავალმხრივი) სამშვიდობო შეთანხმებების, ასევე მოლაპარაკებების გზით დარეგულირების გარეშე, მაშინ შედარებით სტაბილურობას და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მყიფე შეთანხმებებს საფრთხე ემუქრება. სამხრეთ კავკასია არამდგრადი და არასტაბილური რეგიონია. რუსეთის მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, მისი სამხედრო შესაძლებლობების გაფართოება, უკრაინის მთავრობასთან შავი ზღვის ფლოტისთვის სევასტოპოლში საიჯარო ხელშეკრულების ვადის 2042 წლამდე გაზრდა იმის მაჩვენებელია, რომ მოსკოვისთვის შავი ზღვის რეგიონი ახალი რუსეთია. თითქმის ოცი წელია, რაც ევროკავშირმა თავისი საზღვრები აღმოსავლეთით ბერლინის კედლიდან შავ ზღვამდე გააფართოვა. ამ გეოპოლიტიკურ ძვრას ახალ შესაძლებლობებთან ერთად ახალი გამოწვევებიც მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის მიმდინარე პოლიტიკა მოსაწყენია და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ის გაფართოვდა, თუმცა პოლიტიკური ძალაუფლებისა და მოქმედების მხრივ შეზღუდულია. ძალიან ხშირად ევროკავშირის მხრიდან გადაწყვეტილებების მიღება რეაქტიულობის პრინციპებს ეფუძნება, ნაცვლად კონფლიქტების პროაქტიური და ეფექტური მართვისთვის მკაფიო სტრატეგიული ხედვის განსაზღვრისა", — აღნიშნავს მიმომხილველი და დასძენს, რომ „თუკი ევროკავშირი შავი ზღვის რეგიონში აქტიური როლის შესრულებას სერიოზულად აპირებს, მაშინ უნდა შექმნას ძლიერი სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტი და ერთდროულად კონფლიქტების მართვის ადეკვატური სტრატეგია შეიმუშაოს".

**ირინა არდაშელია**

---

**28 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი გრიგოლ ვაშაძე გაემგზავრა ტურნეში წყნარი ოკეანის ქვეყნების მოსანახულებლად. ეს პირველია ქართული დიპლომატიის ისტორიაში. ვიზიტის პროგრამაშია ახალი ზელანდია, ავსტრალია და ფიჯი. როგორც თბილისში გვარწმუნებენ, საკითხი შეეხება „ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცებას". მაგრამ ქართველი მინისტრის ტურნეს დღის წესრიგში აუცილებლად იქნება კიდევ ერთი საკითხი: როგორ ავიცილოთ თავიდან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რეგიონის ჯუჯა სახელმწიფოების მიერ აღიარების ახალი ტალღა. და აქ თბილისს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დახმარების იმედი აქვთ.**

# საქართველო თავის საზღვრებს ოკეანიისგან იცავს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბეჯითებით აცხადებენ, რომ ბატონი ვაშაძის ვიზიტი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ იყო „დაგეგმილი და შეთანხმებული". სხვათა შორის, ჩვენმა თანამოსაუბრემ ამ უწყებში არ გამორიცხა, რომ ტურნეს მსვლელობის დროს „საკითხი დაისმება აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე და ამ ქვეყნების პარლამენტების მიერ რეზოლუციის მიღებაზეც საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაციის აუცილებლობის შესახებ". ამაშია, როგორც ჩანს, ტურნეს მთავარი აზრიც.

უკანასკნელი ქვეყანა ხომ, ვინც აღიარა აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, აღმოჩნდა პოლინეზიის სახელმწიფო ტუვალუ — ნამცეცა კუნძული, რომლის მოსახლეობაც 12 ათას კაცზე ოდნავ მეტია. მისი სამთავრობო დელეგაცია პრემიერ ვილი ტელავის მეთაურობით 18 სექტემბერს იყო სოხუმში, 19 სექტემბერს კი მოინახულა ცხინვალი, ხელი მოაწერა ამ ორი რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად დოკუმენტებს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ტუვალუმდე კი აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი (რუსეთის ფედერაციის, ნიკარაგუასა და ვენესუელის შემდეგ) აღიარა წყნარი ოკეანის კიდევ ორმა ჯუჯა სახელმწიფომ — ნაურუმ და ვანუატუმ.

და აი, ერთი კვირის შემდეგ გრიგოლ ვაშაძე გაემგზავრა რეგიონში, რომელმაც ქართულ დიპლომატიას ასეთი არასასიამოვნო სიურპრიზი მიართვა. ავსტრალია და ახალი ზელანდია, როგორც ჩანს, შემთხვევით არ არის შერჩეული — სწორედ ეს ორი ქვეყანა ასრულებს „დიდი ძმის" როლს ოკეანიის სახელმწიფოებისთვის. ველინგტონი და კანბერა კვლავ აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამიტომ თბილისში იმედი აქვთ, რომ მათ შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ თავიანთ მეზობლებზე.

უფრო მეტიც, როგორც ჩვენ გამოვარკვიეთ, ახალ ზელანდიაში ამჟამად იმყოფება საქართველოს პრემიერი ნიკა გილაურიც. ოფიციალურად მისი ვიზიტი დაკავშირებულია რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატთან და მისწრაფებასთან დაუჭიროს მხარი საქართველოს ნაკრებს. მაგრამ იგი უკვე შეხვდა თავის ახალზელანდიელ კოლეგას და განიხილა მასთან ერთად, როგორც საქართველოს მთავრობის პრესსამსახურში გვაცნობეს, „თანამშრომლობის ფორმები პოლიტიკური ფორმის თვალსაზრისითაც".

„გაეროს წევრი ქვეყნებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მინდა შეგახსენოთ, რომ ტუვალუ, სპეციალისტების პროგნოზით, მალე წყლის ფსკერზე უნდა დაეშვას", — გვაცნობა თანამოსაუბრემ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. მან არ ისურვა საკუთარი სახელის გამჟღავნება. მისი აზრით, „როგორც ჩანს, ტუვალუს და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებაზე — იარონ რუსული პოლიტიკის ფარვატერში — გავლენა მოახდინა სავსებით პრაგმატული და მერკანტილური ხასიათის მოსაზრებამ".

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თბილისმა გადაწყვიტა ითამაშოს დასწრებაზე და არ დაუშვას, რომ ტუვალუსა და ნაურუს მაგალითს გაჰყვნენ, ვთქვათ, დასავლეთი სამუა ან კირიბატი. მათაც ხომ შეიძლება გაუჩნდეთ „მერკანტიული ხასიათის მოსაზრებანი".

„ვაშაძის ვიზიტი აშკარად პრევენტიული ხასიათისაა. ახალი ზელანდია და ავსტრალია, არსებითად, კვებავენ მთელ ოკეანეს, პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოები მთლიანად მათზე არიან დამოკიდებული, — განაცხადა ჩვენთან საუბარში დიპლომატიური აკადემიის ყოფილმა რექტორმა იოსებ ცინცაძემ. — სამწუხაროა, რომ ჩვენს დიპლომატებს გამორჩათ დრო და არ მიიღეს პრევენტიული ზომები ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მოსკოვმა დაამუშავა ნაურუ, ვანუატუ და ტუვალუ".

საქართველოს წყენას ზრდის ის ფაქტიც, რომ სულ ახლახან მან ტუვალუს ჰუმანიტარული დახმარება გაუწია, როდესაც იქ გაგზავნა სამედიცინო მოწყობილობის პარტია. კუნძულელებმა კი მას უპასუხეს იმით, რომ აღიარეს საქართველოდან გამოყოფილი ტერიტორიები.

**Коммерсантъ**

## დედამიწის ზურგზე



**დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ერთსულოვნად შეაფასეს სწავლება არქტიკაში: კანადელები რუსების „აგრესიულ" მოქმედებებს უპასუხებენ**

სამხედრო სწავლების ნამდვილი მიზანი, რომელიც კანადამ არქტიკაში ერთი თვის წინათ მოაწყო, იყო ის, რომ დაედასტურებინა თავისი ყოფნა ამ რეგიონში და დაეკავებინა რაც შეიძლება მასშტაბური სივრცე, მიაჩნიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

* * *

**ტაიფუნმა „ნესატმა" ფილიპინებზე 35 კაცის სიცოცხლე შეიწირა, იგი უახლოვდება ჰონკონგს**



დაშავდა სულ ცოტა 34 კაცი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 45. უბედურების გამო ევაკუირებულთა რიცხვმა 184 ათასს გადააჭარბა, მატერიალური ზარალის საერთო თანხა კი 26 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ დროს ფილიპინებს უახლოვდება ახალი ქარიშხალი „პიელი", რომელიც რაც უფრო უახლოვდება, მით უფრო ძლიერდება.

* * *

**ასტრონომებმა მიიღეს სამყაროში უიშვიათესი წარმონაქმნის სურათი**



ჩილეში განთავსებული ევროპის სამხრეთი ობსერვატორიის მთავარი ტელესკოპის ინფრაწითელი კამერის დახმარებით მათ შეძლეს აღმოეჩინათ და გადაეღოთ სურათი თითქმის იდეალური სფერული ფორმის გიგანტური ვარსკვლავის გარშემო. ობიექტი იმდენად დიდია, რომ გადაკვეთით იგი თითქმის ათასჯერ უფრო ფართოა მზეზე და უფრო კაშკაშა დაახლოებით 500 ათასჯერ.

* * *

**გამოკვლევა: ქალები, რომლებიც ყავას სვამენ, ნაკლებად განიცდიან დეპრესიას**

ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული სამედიცინო გამოკვლევების სკოლის ექიმების თვალსაზრისით, ამაში როლი შეიძლება შეასრულოს კოფეინმა, რომელიც, როგორც ცნობილია, აძლიერებს ცხოვრებისგან კმაყოფილების გრძნობას და მატებს ენერგიას.



„ბედნიერი ერი“

# VAE VICTIS

გამოთქმა Vae Victis (ვაი დამარცხებულთ) მიეწერება გალების ბელადს ბრენუსს. რომაული ანალების მოწმობით, ძვ. წ. 390 თუ 387 წელს მდინარე ალიასთან (ტიბრის შენაკადი) გალებმა რომაელები დაამარცხეს. ეს დღე და ადგილი (Dies dliensis) რომაელთა ხსოვნაში უმძიმესი განსაცდელის აღმნიშვნელ ხატოვან სიტყვებად დარჩა. გალებმა უბრძოლველად დაიკავეს რომი (კაპიტოლიუმის გარდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით შეიქმნა ლეგენდა ბატების როლის შესახებ) და გაძარცვეს. ბოლოს გადაწყვიტეს ნანგრევებად ქცეული ქალაქის დატოვება გამოსასყიდის სანაცვლოდ. გამოსასყიდის ზომად დაუდგინეს ათასი გირვანქა ოქრო. მოსახლეობამ შეაგროვა რაც გააჩნდა და მრისხანე მტერს მიართვა. ოქროს აწონვის დროს რომაელებმა შეამჩნიეს, რომ გალების სასწორი მრუდე იყო. სახალხო ტრიბუნის პროტესტზე, ბრენუსმა მახვილი აღმართა, დადო სასწორზე შეჰყვირა Vae Victis, რაც ნიშნავდა მძიმე გალური მახვილის წონა ოქროს დამატებასაც. რომაელები იძულებული გახდნენ გამარჯვებული ბარბაროსის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ. Die aliensis და Vae Victis რომში დამკვიდრდა, როგორც დიდი უბედურების აღმნიშვნელი სიტყვები და იმავე მნიშვნელობით შევიდა მსოფლიო ისტორიაში. მის შინაარსში თავსდება გაუგონარი ალვირახსნილობა და ადამიანურ ღირსებათა შელახვის სრული სურათი.

მსოფლიოს ნებისმიერ ხალხს გადატანილი აქვს „ალიას დღე“ და „ვაი დამარცხებულთ“. ზოგიერთმა ამ შავ ჭირს საერთოდ ვერ დააღწია თავი და მხოლოდ საისტორიო ქრონიკებს შემორჩა. მტრებით გარემოცულ საქართველოს მრავალჯერ დასდგომია „ალიას დღე“ და „ვაი დამარცხებულთ“. ჩვენს წინაპრებს ამ ორი ცნების ტყვეობაში გაჰყავდათ წუთისოფელი.

ქართველთა ბედს უმეტეს წილად დამპყრობელი განიკითხავდა. მუდამ დამოკლეს მახვილი ეკიდა ჩვენს ღრუბლიან ცაზე. გვიტევდა კულტურულიც და უკულტუროც, მდიდარიც და უპოვარიც. გვარბევდნენ და გვძარცვავდნენ. მარათონის ბრძოლიდან მოყოლებული მუდამ სხვის ომში ვიყავით ჩართული და სხვისი ინტერესებისთვის ვღვრიდით სისხლს. გვყიდდნენ მეომრებად და მონებად. ვალამაზებდით სხვათა ტრიუმფებს და სრასახლებს.

ქართველი თუ არაქართველი მემატიანეები მრავლად გადმოგვცემენ კოლხებისა და იბერების ტრაგიკული თავგადასავლის ამსახველ სცენებს. ხშირად ყოფილა რჯულშეცვლილ ქართველთა ბატონობის პერიოდებიც, მაგრამ ეროვნულმა სულმა გამოაღწია ყოველგვარ ბედუკუღმართობას. უზარმაზარი იმპერიები (სპარსელები, ბიზანტიელები, არაბები, თურქები, მონღოლები) ფლეთდნენ მის გულღვიძლს, მაგრამ მითიური პრომეთეს მსგავსად მაინც ცოცხლობდა. გადაიტანა რუსეთის იმპერიის ორსაუკუნოვანი ბატონობის სიმძიმეც. გაუძლო ურიცხვ Vae Victis და ღვთის წყალობით, შეინარჩუნა ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც, რადგან ძველი ქართველები მეტ-ნაკლები წინდახედულობით უდგებოდნენ თავს დატეხილ უბედურებას.

**უკანასკნელი ოცი წელი სრულიად განსხვავებულია ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მტერთან ურთიერთობის გარკვეული დისტანცია ქართულ რეალობაში ყოველთვის არსებობდა და ეს იყო გადარჩენის ძირითადი საყრდენი. თანამედროვე საქართველოს გაშიშვლებული დიპლომატია ფარნავაზის წინა პერიოდის ტომის ბელადებისთვისაც უცხო იყო. ოცი წელია ტრუპატრიოტიზმის ალზევების ხანაა. ეროვნულობის სახელით ინერგება ანტიეროვნულობა, რაც ანადგურებს კოსმიურ კატაკლიზმებს გადარჩენილ სულიერ საგანძურს. მტრისა და მოღალატის ძიებამ დაარღვია ერის მთლიანობა.**

საქართველო კვლავ მტრის გარემოცვაშია. გვებრძვიან იარაღით და უიარაღოდ. უფრო საშიშია უიარაღო მტერი, რომელთან კავშირშიც „ნაციონალები ინარჩუნებენ ქართველებზე ბატონობის სტატუსს. ერის მამის მოსასხამმორგებულმა, სოფისტურ მსჯელობებში განაფულმა ყმაწვილებმა დაუნდობელი ომი გამოუცხადეს ყოველივე ეროვნულს, რამაც საქართველო უიარაღო მტრის ფეხის მტვრად გადააქცია.

**პირველი დიდი დარტყმა საქართველომ 2006 წლის ზაფხულში განიცადა (რაც დღეს თითქმის არავის ახსოვს). იმდროინდელმა მწიგნობართუხუცესმა ა. ლომაიამ გამარჯვებულის პოზით გვაუწყა: დამთავრდა ძველი ეპოქა და დაიწყო ახალი აზროვნების ხანაც. Vae Victis** მძვინვარებდა დამპყრობელის ერთგული ემისარი. მისმა თანამიმდევრულმა მოქმედებამ ქართული სულიერი კულტურის გალავანი ნანგრევებად აქცია. მცოდნე და არამცოდნე ერთი საზომით გაზომეს და უპირატესობა მცირემცოდნეს მიანიჭეს.



Vae Victis პერიოდულ გამოყენებათაშორის ყველაზე თავზარდამცემი იყო რელიგიის საკითხების იმპერატიული გადაწყვეტა.

კეთილ ანგელოზებად მოვლენილმა უცხოელმა ექსპერტებმა თუ დამკვირვებლებმა (ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა მათ წინაშე თავის მოწონება და კეკლუცია), გზას აცდენილი ერი ისეთ ლაბირინთში შეიტყუეს, რომლიდანაც თავის დაღწევას არიადნეს ძაფიც ვერ უშველის. ბრბოსთან გათანაბრებულ მასას ნაციონალები ცინიკურად ანუგეშებენ უცხოელ „სწავლულთა“ უაზრო ციტატებით. თურმე ახლოსაა სანუკვარი ოცნება და ვერ ვამჩნევთ.

Vae Victis მოგვითარგმნა განათლების მინისტრმა „მამამარჩენალ“ ამერიკელთა ბრძანების ტექსტი, რომლის თანახმადაც, ქართველი ახალგაზრდობა ინგლისური ენის უცოდნელად დიპლომს ვერ აიღებს (არავის ეგონოს, რომ ინგლისური ენის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ქართველმა ჯერ ქართული უნდა ისწავლოს). ინგლისურენოვან მისიონერთა მოზღვავებით პატარა ქართველები პირველი კლასიდანვე დაეუფლებიან ინგლისურს. ამ გზით რეფორმატორები ერთგულებას უმტკიცებენ, ვის? საქართველოს წინააღმდეგ მომართულ ვერაგობათა შორის ეს არის ყველაზე მტრული გეგმა, რომლის მიზანიც ეროვნული ცნობიერების მოშლაა. ევროპულ სტანდარტებში კარგად გარკვეულ განათლების მინისტრს მოვაგონებდი რა შედეგით მთავრდება მსგავსი ქმედება. **ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპის ბარბაროსული ტომების რომანიზაცია დაიწყო ლათინური (რომაული) სკოლების გახსნით. ტომის ბელადებმა და გვაროვნულმა არისტოკრატიამ დიდი სიხარულით მიიღო დამპყრობლის მოწყალება. რამდენიმე თაობის შემდეგ დავიწყებას მიეცა იბერების, გალების, კელტების ენები და სამეტყველო ენად ლათინური იქცა. გარეგნულად ეს იყო უდიდესი პროგრესი, რადგან ბარბაროსი ტომები პირდაპირ გადავიდნენ ცივილიზებულ სამყაროში, მაგრამ ამ ტომთა ენებს რეალობამ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. დასავლეთ ევროპაში მხოლოდ გერმანელებმა შეინარჩუნეს თავიანთი ბარბაროსის ენა, რადგან რომაელებმა მათი დამორჩილება ვერ შეძლეს (ბოლოს ბარბაროსი გერმანელები გადავიდნენ შეტევაზე და რომი და რომანიზირებული ევროპა ნანგრევებად აქციეს). სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ჩვენს ბრძენ რეფორმატორებსაც ასე აქვთ წარმოდგენილი ქართული ენის დღევანდელობა და მომავალი. რომანიზაციის მსგავსი „პროგრესის“ წინაშე დგას ქართული ენა და ამ „სასიხარულო“ სიახლეს ზარ-ზეიმით გვაუწყებენ და მადლობის გადახდასაც გვავალდებულებენ მურვან ყრუს ძმისწულის შთამომავლები.**

გამოვლილი გვაქვს ახალი ტიპის ადამიანის არც მთლად სასიამოვნო ეპოქა. თვისტომები თითქმის მგლებად იქცნენ და მუსრს ავლებდნენ ერთმანეთს, ნათელი მომავლის იმედით ივიწყებდნენ მიწიერ ცხოვრებას. **ნახევარი მსოფლიო ზანზარებდა და ქედს იხრიდა ღმერთად შერაცხილ ანტიქრისტეს მსახურთა წინაშე, მაგრამ ქართული ენის ღირსება არავის შეულახავს, გავრცელების მოკრძალებული არეალის მიუხედავად არავის დაუმცირებია.** დავით გურამიშვილს თუ დავესესხებით, „გარს გვარტყია ვით სარტყელი, სულ სხვადასხვა მტერთა გუნდი“, მაგრამ საოცრად მტრულ გარემოცვაშიც კი მსგავსი „საჩუქრით“ არავის დავუჯილდოვებივართ (ყოველივე ქართულის მესაფლავენი ამ ფაქტს ჯილდოდ გვიხატავენ).

ადამიანის მენტალიტეტის შეცვლაზე ოცნებობდნენ ბოლშევიკებიც, მაგრამ ოცნება მიუღწეველი დარჩა. საერთოდ რას ნიშნავს მენტალიტეტის შეცვლა? მენტალიტეტშეცვლილი ადამიანი არის უეროვნებო, გადაგვარებული არსება. ასეთი ადამიანი არც აქამდე იმსახურებდა მოწონებას და არც მომავალში დაიმსახურებს. წარმოვიდგინოთ როგორი იქნება შეცვლილი გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, იაპონელი, ან კამერუნელი და ზანზიბარელი. ქართველი რატომ უნდა შეიცვალოს? თუ ეს მოხდება, ის ქართველი აღარ იქნება და რაც მოგესურვება ის შეგიძლია უწოდო. ერის ნაციონალურ გარდამქმნელებს გადაწყვეტილება მიღებული აქვთ და თუ ვინმე ხმას ამოიღებს პასუხი Vae Victis მზად აქვთ.

საამური ცხოვრებით გალაღებული ჩინოსნები გვიმტკიცებენ, რომ ვუახლოვდებით აღთქმულ ბედნიერებას, მალე შევაბიჯებთ ჰელიკონის ბაღებში და გავუტოლდებით სინგაპურს თუ ჰონკონგს, თუ რომელიღაც უსახურუფორმო მახინჯ წარმონაქმნს, რომელსაც არა აქვს საკუთარი ფესვი და ეფუძნება ევრაზიული ბარბაროსის გაუკუღმართებულ სინთეზს. თუ ეს არის საბოლოო მიზანი, ქებას ნამდვილად არ იმსახურებს. ეს ხომ საკმაოზე მეტად მოძველებული პროპაგანდა და ნათელი დღეების მოლოდინში ყოფნაა, ბატონებო? რატომ გადაუწყვიტეთ იარალაყრილ ქართველებს გამოქვაბულში შერეკვა? (ისე ბევრი უარესის ღირსიცაა). რატომ ცდილობთ ქვეყნის გადახურვას ჩალით და რატომ იყენებთ კანონს უსამართლობის იარაღად?

გონიერი ქართველი კარგად ხედავს როგორ „აყვავდა“ ჩვენი ქვეყანა გადამთიელთა (გაუბედურების მთავარი ინიციატორების) მოწონებული და შექებული რეფორმებით. თვალშისაცემია ისიც თუ როგორ „ნეტარებით“ ებრძვიან წუთისოფელს „დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის შვილები, როგორ მიემართება ჩვენი აფრებმოშლილი გემი სიღარიბესიდუხჭირისაკენ. ძლიერნი ამა ქვეყნისანნი მოგვიწოდებენ ვიზეიმოთ ის, რაც სატირალი უფროა. ტაში და დოლების შეწყობილი ბრაგუნი აზანზარებს წყალს და ხმელეთს. ველოდებით ცის გახსნას, მაგრამ სასწაული არ ჩანს, მდინარეები ჩვეულებრივი დინებით მიედინებიან. საქართველოს მთა და ბარი მშვიდად უყურებს თავისი შვილების უმწეობას.

ათწლეულებს გადასწვდება ის ნგრევა, რაც მოვარდნილმა ქარიშხალმა დაატეხა თავს განათლებასა და მეცნიერებას და ვისაც ეს ეხება, ისეთი პოზა უჭირავს, თითქოს დიდი ომი მოეგოს და მოპოვებული გამარჯვებით ტკბობის დღეებს იხანგრძლივებს. ყოველივე ამის დაგვირგვინება იქნება მსოფლიო ტექნოლოგიების ენაზე — ინგლისურზე გადასვლა, ყვითელი და შავკანიანი მოსახლეობის გაზრდაზე ზრუნვა, რაც დააჩქარებს ქართული სულის ჩაქრობას. ვიდრე ეს სანატრელი დღე დაუდგებოდეთ, საჭიროა გარდამავალი საფეხურის გავლა, რომელიც დიდი ხანია დაწყებულია. აღმოსავლური მუსიკისა და ქართული ტაშის აკომპანიმენტით, სარფიდან თბილისამდე და თბილისიდან წითელ ხიდამდე, ჩვენი სამშობლო გადაიქცა უზარმაზარ ქარვასლად, რომლის ნახევრად ევროპული და ნახევრად აზიური სტანდარტებით გამართულ გზებზე დაქრიან უზარმაზარი ტრაილერები. ფრთებს ისხამს ლეგენდა, თითქოს საქართველოზე გადიოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელი საქარავნო გზა. როდის შეიქმნა ან ვინ შეთხზა ეს ზღაპარი, უცნობია. გეოგრაფიულ აღმოჩენათა ანალებში ასეთი გზა არ ფიგურირებს. დღეს ხელისუფლების ინიციატივით ასეთი გზა ნამდვილად არსებობს, მაგრამ ამ გზასთან საქართველოს კავშირი არა აქვს? ევრაზიის მთავარი ტრასის მეშვეობით საქართველო გადაიქცა შორეული მგზავრობით დაღლილ თურქ მძღოლთა და ვაჭარ-სოვდაგართა ღამის გასათევი, უზრუნველყოფილი სურსათითა და ქალებით. ასე ესმით საქართველოს ჩართვა მსოფლიო გლობალურ „გამოწვევებში“ ჩვენს „უზომოდ განათლებულ“ პოლიტიკოსებს. იმაზე კი არ იწუხებენ თავს, რატომ არიან ამ ქვეყნის გაუბედურებული შვილები მოდებული მთელს პლანეტაზე, რათა მონური შრომით თავი დააღწიონ შიმშილით სიკვდილს.

ქართველმა მუშამ და გლეხმაც უნდა ისწავლოს ინგლისური (სინამდვილეში არც ერთი გვყავს და არც მეორე)? ნუთუ განათლების რეფორმატორები ფიქრობენ, რომ გლეხს ინგლისურის ცოდნა გლეხობას გაუადვილებს? ან იქნებ ამ გზით სხვა ქვეყნებისაკენ მიუთითებენ. **სახელმწიფომ თავის მოქალაქეს სამშობლოში უნდა შეუქმნას საარსებო პირობები. ბრძენი ხალხის აზრით, მოდერნიზაციის ილუზიებით შეპყრობილი ახალგაზრდების უთავბოლო ექსპერიმენტებმა გააბერწა და უნაყოფო გახადა ქართული მიწა. ამიტომ გარბის ოდესღაც მიწის მუშად მონათლული ქართველი უცხოეთის მონათა ბაზარზე.**

Vae Victis დღეში შვიდჯერ გვიმეორებენ, რომ არ დაგვავიწყდეს ქედმოდრეკილი დგომა და არ მოვინდომოთ გამართვა. შიშის განმტკიცებას ემსახურება უზარმაზარი სამსახური. დათრგუნულ ყოფას პატარა ქართველებიც თავიდანვე უნდა შეეჩვიონ. ამ მიზნით დაუწესეს მანდატურების ზედამხედველობა. ზრდასრული მორჩილებას კარგად არიან შეგუებულები. უმძიმესი დღეები დაუდგა ქართულ ენას. ურიცხვმა სარკინოზმა ვერ შეძლო მისი აღგვა პირისაგან მიწისა და დღეს მსოფლიოს გლობალურ პროცესებთან შეუთანხმებლობის გამო ეროვნულმა დამოუკიდებლობამ აღსასრული მოუახლოვა, მტერს უბრძოლველად ნებდება (დავით გურამიშვილი ამ შემთხვევაშიც შეუდარებელია, „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო! ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ გაარჩიესო“.). **სამშობლოს მომავალზე ფიქრით „გადაღლილმა“ ნაციონალებმა, ენა ქართული ყოფნაარყოფნის სასწორზე დადეს და მტრის გულის გასახარად მსუბუქი აღმოჩნდა. დ. შაშკინი უცხოენოვანი მისიონერებით თავს ადგას და დღეებს უთვლის, თანაც გვარწმუნებს, რომ ეს იქნება ცივილიზირებულ სამყაროში საქართველოს შესვლის საწინდარი. მოკლე ხანში ჩვენი ბრძენი პარლამენტიც გაირჯება და, ჩვეულებისამებრ, ერთ ხმაში, ტაშის გრიალით გამოუტანს განაჩენს მის დაკნინებას.**

„ბედნიერი ერი“ კიდევ უფრო ბედნიერად იგრძნობს თავს, როცა გაიგებს, რომ ერთი პარლამენტარი არაფერში იღებს ასი პენსიონრის ოდენ ჯამაგირს (ხოლო მინისტრები გაცილებით მეტს). ამ პერსონების „წყალობით“ მხოლოდ ენა გვაქვს შემორჩენილი და ამასაც გვართმევენ, რადგან დამარცხებულები ყველაფრის ღირსნი არიან.

**გრანი ქავთარია**

ეძო

# მეტოქემაც აღიარა

მსოფლიო თასის VII გათამაშებაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ერთი მატჩიღა დარჩა გასამართავი – 2 ოქტომბერს „ბორჯღალოსნები“ ახალზელანდიურ ფორუმში მონაწილეობას არგენტინასთან ჯგუფური რაუნდის დასკვნითი ბრძოლით დაასრულებენ.

ვიდრე მრისხანე მეტოქის შემადგენლობას გაგაცნობდეთ, ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ ის შეფასებები, რომლებიც ჩვენს თაგორგოძის დადებული ლელოს შემდეგ გახდა ნათელი (ცნობისთვის: ეს გორგოძის მე-20 სანაკრებო ლელოა).

მალხაზ ურჯუკაშვილი – ყველას კარგად გვესმოდა, თუ რა იდო სასწორზე და ამიტომაც ნერვიული თამაში გამოვიდა. პირველი ტაიმი ძალიან დაძაბული იყო, თუმცა მეორე ნახევარში ოპტიმალურ ტაქტიკას მივაგენით და სასურველმა შედეგმაც არ დააყოვნა.



ნამემამულეთა რუმინელებთან გამარჯვებას მოჰყვა, მით უმეტეს იმიტომ, რომ მათი წარმატების კანონზომიერება კარპატელებმაც აღიარეს, ეს კი, დაგვეთანხმებით, საგულისხმო ფაქტია.

რიჩი დიქსონი – რადგან ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, ამიტომ ძნელია მათთვის სიურპრიზების შეთავაზება. ვთვლი, რომ რუმინეთს გააზრებული თამაში დავუპირისპირეთ. მართალია, პირველი ტაიმის შედეგით უკმაყოფილო დავრჩი, მაგრამ შესვენების შემდეგ მაქსიმუმი გავიღეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. დავძენ, რომ ყველაფერი ახლა კი ჩვენთვის ყველაფერი დასრულებულია. აშკარად დაგვეტყო დაღლა. როგორც ჩანს, ძალების აღდგენა ვერ მოვახერხეთ, საქართველომ კი გაცილებით უკეთ წარმოაჩინა საკუთარი პოტენციალი და ლოგიკურადაც მოგვიგო.

ილია ზედგინიძე – მადლობა ყველას, ვინც მხარს გვიჭერდა და მხურვალედ გვქომაგობდა. რუმინეთს ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგრამ მეორე ტაიმში იგი დაიღალა, რითაც კარგად ვისარგებლეთ.

რომეო გონტინიაკი – ძალიან რთული მატჩი იყო. მართალია, მეტოქეს პირველ ნახევარში ვჯობდით, მაგრამ უპირატესობა ვერ გამოვიყენეთ, შემდეგ კი ქართველებმა უკეთ ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

მარიუ ტინკუ – ვიმედოვნებ მომდევნო მსოფლიო თასზეც (ინგლისი, 2015 წელი) ვითამაშებთ და უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ,

* * *

ზემოთ შეგპირდით, რომ გაგაცნობდით იმ შემადგენლობას, რომელიც არგენტინელთა თავკაცმა სანტიაგო ფელანმა „ბორჯღალოსნებთან“ საომრად შეარჩია. დიახ, საომრად, რადგან მის გუნდს მხოლოდ ბონუსქულიანი (4 ლელო) გამარჯვება გაუხსნის გზას მეოთხედფინალისკენ.

მაშ ასე, კვირას პალმერსტოუნის სტადიონზე ჩვენს წინაალმდეგ ითამაშებენ: აიეზა, ლედესმა, ფიგალიო, გალარცა, ალბასეტე, ფარიასი, ლეგისამონი, სანატორე, ვერგალიო, ფერნანდესი, იმჰოფი, კონტეპომი, ბოში, აგილა, ამოროზინო.

* * *

როგორც იცით, ირლანდიასთან მატჩის დროს რუსეთის ნაკრების ქართველმა ჰუკერმა ვალერი ცნობილაძემ ერთ-ერთ ბრიტანელს სახეში თავი ჩაარტყა, რის გამოც იგი 3-კვირიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ასე რომ, 1 ოქტომბერს ავსტრალია – რუსეთის ბრძოლა უქართველოდ ჩაივლის.

დარბაზბურთი

# ვადამდე!

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში მთავრდება უეფას ფუტსალის თასის გათამაშების ძირითადი ტურნირი, თუმცა „იბერია სთარისთვის“ დასკვნითი ტურის მატჩი სლოვაკეთის „მავიპთან“ ფორმალურ ხასიათს ატარებს – მასპინძლებმა ვადამდე მოიპოვეს ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება.

ეს მეორე შეხვედრაში შვეიცარიული „ჟენევის“ გაცამტვერების შემდეგ – 11:0(!) მოხდა.

აღსანიშნავია, რომ სადებიუტო ბრძოლისგან განსხვავებით, როცა ბელარუსის „მაპიდს“ გოლებს მხოლოდ ქართული კლუბის ბრაზილიელი ლეგიონერები უტანდნენ, ამჯერად ჩვენმა თანამემამულეებმაც გამოიღვიძეს – გუნდის კაპიტანმა ალთუნაშვილმა „ჰეთ-თრიქი“ შეასრულა, ხოლო 16 წლის ვუნდერკინდმა ჯვარაშვილმა – „დუბლი“.

იმავე დღეს სლოვაკებმა 2:1 სძლიეს ბელარუსებს და დიდი ნაბიჯი გადადგეს მორიგი ეტაპისკენ.



ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები



საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშება. პირველი მერვედფინალური შეხვედრები. „დინამო“ – „დილა“ 2:2, „ჭიათურა“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:3, „ზესტაფონი“ – „კოლხეთი“ 2:1, „ჩიხურა“ – „მეტალურგი“ 1:1, „ბაია“ – „სიონი“ 3:0, „ბათუმი“ – „ტორპედო“ 0:2, „მერანი“ – „ცხინვალი“ 2:0, „სულორი “ – „გაგრა“ 1:2.

* * *

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. II ტური. „ე“ ჯგუფი. „ვალენსია“ – „ჩელსი“ 1:1, „ლევერკუზენი“ – „გენკი“ 2:0.

„ჩელსი“ – 4, „ლევერკუზენი“ – 3, „ვალენსია“ – 2, „გენკი“ – 1 ქულა.

„ვ“ ჯგუფი. „მარსელი“ – „ბორუსია“ 3:0, „არსენალი“ – „ოლიმპიაკოსი“ 2:1.

„მარსელი“ – 6, „არსენალი“ – 4, „ბორუსია“ – 1, „ოლიმპიაკოსი“ – 0 ქულა.

„ზ“ ჯგუფი. „ზენიტი“ – „პორტუ“ 3:1, „შახტარი“ – „აპოელი“ 1:1.

„აპოელი“ – 4, „ზენიტი“, „პორტუ“ – 3-3, „შახტარი“ – 1 ქულა.

„თ“ ჯგუფი. „მილანი“ – „პლზენი“ 2:0, ბატე – „ბარსელონა“ 0:5.

„ბარსელონა“, „მილანი“ – 4-4, „პლზენი“, ბატე – 1-1 ქულა.



ინტერნეტიდან

## სან-პაულუდან ბილბაომდე

შორეული ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში სტარტი აიღო საჭადრაკო „დიდი მუზარადის“ ფინალურმა ორწრიანმა ტურნირმა, რომელსაც უნიკალური 22-ე კატეგორია აქვს (მონაწილეთა საშუალო რეიტინგია 2780 ქულა). ტურნირის პირველი ნახევარი ჩატარდება ბრაზილიაში, მეორე ნახევარი კი გადაინაცვლებს ესპანეთის ბილბაოში. ამ დიდ საჭადრაკო პაექრობაში მონაწილეობენ მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, რეიტინგი 2823 ქულა), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2817), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2807), ვასილ ივანჩუკი (უკრაინა, 2765), ხიკარუ ნაკამურა (აშშ, 2753), ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი 2716). პირადი კალენდრის გადატვირთულობის მომიზეზებით ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვეს რუსეთელებმა ვლადიმირ კრამნიკმა და სერგეი კარიაკინმა.

დროის კონტროლია 90 წუთი 40 სვლაზე, შემდეგ კი 30 წუთი პარტიის ბოლომდე, თითო სვლაზე 10 წამის დამატებით.



პირველ ტურში არონიანმა დაამარცხა ვალეხო, ყაიმზე შეთანხმდნენ ნაკამურა და ივანჩუკი, ანანდი და კარლსენი.

მეორე ტურში ივანჩუკმა სძლია ვალეხოს, ყაიმზე შეთანხმდნენ ნაკამურა – ანანდი, კარლსენი – არონიანი.

ორი ტურის შემდეგ 4-4 ქულით ლიდერობენ არონიანი და ივანჩუკი.

## მისთვის მთავარი ნაკრებია

ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ საერთოდ ფეხბურთის და კერძოდ კი პარაგვაის ეროვნული ნაკრების ყველაზე სექსუალური გულშემატკივარია პარაგვაელი ლამაზმანი ლარისა რიკელმე. ჩვენც მასზე ბევრჯერ დაგვიწერია.

ალბათ გახსოვთ, რომ მან პოპულარობა მოიპოვა სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის დროს, როდესაც სახალხოდ განაცხადა, რომ თუკი მისი ქვეყნის ეროვნული ნაკრები მუნდიალზე გაიმარჯვებდა, ის საჯაროდ გაშიშვლდებოდა. თუმცა პარაგვაის ნაკრებმა მას იმედი არ



გაუმართლა, მაგრამ ლამაზმანმა გულშემატკივრები არ დააღალატა და გაშიშვლდა, თანაც ერთხელ კი არა.

როგორც ცნობილი გახდა, სექსუალური გულშემატკივარი ახალ ციკლს იწყებს. ის ლიმაში მიემგზავრება, სადაც პარაგვაის ნაკრები 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 7 ოქტომბერს პერუელებს შეხვდება. ამისთვის მან ვარჯიშიც კი შეწყვიტა შოუში „ცეკვები ოცნებაზე“ გამარჯვებისთვის მთავარი ბრძოლის მოსამზადებლად, რადგან ეროვნული ნაკრები და მისი წარმომატებები თურმე რიკელმესთვის ყველაზე მთავარია.

კალათბურთი



# სად ითამაშებს ვარსკვლავი?

ლაპარაკია კალათბურთის სუპერვარსკვლავ კობი ბრაიანტზე. ნბა-ში აგორებულმა ლოკაუტმა ბევრ სახელოვან მოთამაშეს დიდი პრობლემები შეუქმნა. ასეა კობი ბრაიანტის საქმეც. ის იტალიაში ჩავიდა, რათა მოლაპარაკებოდა კლუბ „ვირტუსის“ ხელმძღვანელობას.

კალათბურთელმა უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ის ღებულობს ნებისმიერი ევროპული კლუბის წინადადებას. თუმცა მან მიუღებლად ჩათვალა ის თანხა, რის გადახდასაც აპირებდა მისთვის „ვირტუსი“ 2011-2012 წლების სეზონში – 5 მილიონი დოლარი. ამავე დროს ბოლონიური კლუბი ნბა-ს 5-გზის ჩემპიონს კონტრაქტის სხვა ვარიანტებსაც სთავაზობდა: 2 თვეში – 2 მილიონი დოლარი, 1 თვეში – 1,3 მილიონი დოლარი ან ერთ მატჩში 900 ათასი დოლარი.

პრესის ცნობით, ბრაიანტმა კლუბს საკუთარი მოთხოვნა წაუყენა – წლიური კონტრაქტში 7,5 მილიონი დოლარი „სუფთად“ (რაც „ლეიკერსის“ კლუბს ალბათ დაახლოებით 15 მილიონი დაუჯდებოდა). მაგმცველს ანალოგიური შეთავაზება ჰქონდა ჩინური კლუბიდანაც. მაგრამ შემდეგ ამ ქვეყნის ეროვნულმა ლიგამ კლუბებს აუკრძალა ასეთი კონტრაქტის გაფორმება ნბა-ს მოთამაშეებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი კარაბადინი

# „ცეკვები“ მუცელში



### კუჭის სნეულებების პროვოცირებას შემოდგომა და... ხასიათი იწვევენ

შემოდგომა მხოლოდ გაციებისა და სხვა დაავადებათა სეზონი როდია. სეზონთა შუა პერიოდში ტრადიციულად მწვავდება მუცლის ავადმყოფობანი – გასტრიტები, გასტროდოუდენიტები და კუჭის წყლულები.

ამას რამდენიმე ახსნა აქვს. ჯერ ერთი, ნესტიან დროს ქვეითდება კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის აქტიურობა და იცვლება კუჭის მჟავიანობა, ჩვენს რაციონში კი წარმოიქმნება B და C ვიტამინების უკმარისობა, რაც აუცილებელია კუჭის ლორწოვანი გარსის ბუნებრივი განახლებისთვის. მეორეც, კუჭის დაავადებანი, როგორც გამოირკვა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ფსიქიკასთან. „ცუდი ხასიათი და კუჭ-ნაწლავის ტრაქტთან დაკავშირებული პრობლემები ზოგჯერ მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, – ამტკიცებს რუსეთის მედიცინის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ექიმი-გასტროენტეროლოგი სვეტლანა კოსიურა. – შემთხვევით როდია, რომ არასასიამოვნო ადამიანებზე ამბობენ: „გესლიანი კაცია“ ან „შხამიანი ნატურაო“. და ვინაიდან ფსიქიკური დაავადებანი მწვავდება შემოდგომით, მუცლის დაავადებათა გამწვავების პიკიც ასევე ამ დროს დგება“.

უკანასკნელ ხანებში მუცელში ყველა „ცეკვის“ პირველ მიზეზად ქელიკობაქტერიულ ინფექციას მიიჩნევენ. მაგრამ ბევრი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ეს ასე არაა. „ქელიკობაქტერიული ინფექცია პრაქტიკულად აქვს ყველას – გამოკვლევის დროს უვლინდება ადამიანთა 98 პროცენტს, – განმარტავს ქალბატონი კოსიურა. – მაგრამ ამ დროს ყველა როდია ავად. გასტროენტეროლოგები მიიჩნევენ, რომ ქელიკობაქტერი ორი სახისაა: პათოგენური და არაპათოგენური. ამიტომ დიაგნოზის სწორად დასმისთვის ურეაზული სასუნთქი ტესტის დამატებით საჭიროა დამატებითი გამოკვლევის გავლაც, რომლის დახმარებითაც შეიძლება დავაზუსტოთ ჩვენი ინფექციის მავნეობა“.

კიდევ ერთი სახიფათო შეცდომა – მუცლის ყველა დაავადება მიიჩნიო ახლო ნათესავებად და უმკურნალო მათ ერთი უნივერსალური საშუალებით – ჭიქა წყლით, რომელშიც გახსნილია ერთი მწიკვი სოდა. „ასეთი სასმელი მართლაც სწრაფად გვიხსნის ტკივილის სინდრომს იმის ხარჯზე, რომ აზავებს მარილმჟავას კუჭში, – გვაფრთხილებს ექიმი-გასტროენტეროლოგი, – მაგრამ ამას მკურნალობას ვერ უწოდებ. კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის დაავადებებს იწვევს სხვადასხვა მიზეზი და ისინი სიგნალებს თავიანთი არსებობის შესახებ სხვადასხვაგვარად გვაწვდიან. ამიტომ ყური დაუგდეთ თქვენს შეგრძნებებს და ნუ გადადებთ ექიმთან ვიზიტს, რათა შემოდგომა საავადმყოფო საწოლზე არ გაატაროთ.

### მეგზური კუჭის უსიამოვნებებისთვის

#### გასტრიტი

#### კუჭის კედლის ლორწოვანი გარსის ანთება

ლორწოვანი გარსის დაზიანებისგან ზიანდება ჯირკვლები, რომლებიც გამოიმუშავებენ კუჭის წყლულის კომპონენტებს და დამცველ ლორწოს, რის გამოც კუჭი ველარ უმკლავდება საკვების გადამუშავებას.



**ვინ არის ავად**

გასტრიტი ითვლება იმ ადამიანთა დაავადებად, ვისაც „ფეხები კვებავენ“. შედეგად დღე, რომელიც გაატარეთ „ფეხზე დგომით“ კვებაში, მთავრდება საღამოს უხვი ტრაპეზით. ეს იწვევს იმას, რომ კუჭი უმალვე იმუშავებს მარილმჟავის ისეთ ოდენობას, რომელიც არა მხოლოდ საკვებს გადაამუშავებს, არამედ თავად კუჭსაც.

**სიმპტომები**

შეტევითი ტკივილები მუცლის ზედა ნაწილში, გულისრევა, უფრო იშვიათად – პირღებინება, კუჭის წვა, მუცლის შებერილობა, კუჭის შეკრულობა ან ფაღარათი.

**გამოკვლევა**

ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კუჭის რენტგენოლოგიური გამოკვლევა. ქრონიკული გასტრიტის დროს აწარმოებენ კუჭის სეკრეციის გამოკვლევას და კუჭის ლორწოვანი გარსის ბიოპსიას.

**შესაძლო გართულებები**

უმკურნალო მწვავე გასტრიტი ხშირად ქრონიკულში გადადის. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ წყლულით ავადმყოფთა 50-70 პროცენტი მანამდე იტანჯებოდა გასტრიტით. მაგრამ ყველა გასტრიტი როდი მთავრდება წყლულით, სწორი მკურნალობის დროს კი შეიძლება ის სულაც გაქრეს.

**მკურნალობა**

გამოკვლევის დროს – მკაცრი დიეტა, აბსორბუნტები, შემწოვი ტოქსინები, სიმჟავის დამწევი პრეპარატები. ხანგრძლივობა – 2-3 კვირა. ქრონიკულისა – დაახლოებით 2 წელი.

### გასტროდუოდენტი

#### თორმეტგოჯა ნაწლავის ანთება

**ვინ არის ავად**

ბავშვები და მოზარდები, რომლებიც არარეგულარულად იკვებებიან, ჭამენ ცოტას ფეხზე მდგარი. ხალხი, ვინც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფება სტრესულ მდგომარეობაში და ჰყავს კუჭის წყლულით დაავადებული ნათესავები.

**სიმპტომები**

სისუსტე, მოდუნება, ძილის მოშლილობა, თავის ტკივილები, მკვეთრი შემტევი ტკივილები მუცლის ზედა ნაწილში, გულის რევა პირღებინებით, ტკივილები და შებერილობა კუჭში, მადის დაქვეითება, უსიამოვნო გემო პირში, ბოყინი, ძმარვა, კუჭის შეკრულობა ან ფაღარათი.

**გამოკვლევა**

გასტროდუოდენოფიბროსკოპია, რენტგენი.

შესაძლო გართულებები ბევრი გასტროენტეროლოგი სენს მიიჩნევს წყლულის განვითარების საწყის (მაგრამ შექცევად) სტადიად.

**მკურნალობა**

სწორი დიეტა პლუს პრეპარატები, რომლებიც თრგუნავენ სიმჟავის ზედმეტ სეკრეციას. ძმარვის თავიდან ასაცილებლად ნიშნავენ ანტაციდებს. მწვავე გასტროდუოდენტს სჭირდება 2-3 კვირა, ქრონიკულს – 2 თვე.

### კუჭის წყლული

#### კუჭის ლორწოვანი გარსის ლოკალური დეფექტი

**ვინ არის ავად**

ახალგაზრდა, წარმატებული, საკვების არარეგულარულად მიმღები ადამიანები სტრესების მაღალი დონით. დადასტურებულია, რომ წყლულის პროვოცირებას ახდენს მოწევა (ნიკოტინი აძლიერებს მარილმჟავის გამომუშავებას და წინააღმდეგობას უწევს საკვების ნორმალურ გადამუშავებას) და ალკოჰოლი (აძლიერებს კუჭის წვენის აგრესიულ თვისებებს).

**სიმპტომები**

ხანჯლისებური ტკივილები მუცლის ზედა ნაწილში, რასაც აქვს მკაფიო რიტმულობა (ჩნდება საჭმლის მიღებიდან 2-3 საათის შემდეგ) და პერიოდულობა – ხან გეხსნება, ხან კვლავ ჩნდება.

**გამოკვლევა**

ენდოსკოპური გამოკვლევა, რომლის დროსაც ჩვეულებრივად იღებენ კანის პატარა ნაწილს ბიოპსიისთვის.

**მკურნალობა**

ანტიბიოტიკები, ანტაციდები, რომლებიც ანეიტრალებენ მარილმჟავას და ქმნიან დამცავ აფსკს კუჭის ლორწოვანი გარსის ზედაპირზე. მკურნალობის აქტიურ კურსს სჭირდება საშუალოდ ორი კვირა, ხოლო წყლულის სრულ შეხორცებას თვენახევარი მაინც უნდა. ეფექტის გამყარებაში დაგვეხმარება კვების სწორი რეჟიმი – დანაწევრებული, რბილი საკვების აქცენტით: ფაფები, კარტოფილის პიური, ვერმიშელი, მოხარშული და მოთუშული ხორცი, მოხარშული ბოსტნეული.

ЗДОРОВЬЕ

---



მშობლები მანანა, ლევანი, ბებია მაგული, ძმები მიხეილი, ლევანი, ბიძა პაატა არჩვაძეები, რძალი ეკა მუსერიძე, ძმისწულები ანდრია, მარიამი, დეიდა მაია, ბიძა გიგი იმერლიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

**ლუკა არჩვაძე**

პანაშვილი 30 IX, 1 X, 17 სთ. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №24, დაკრძალვა კვირას, 2 X, 15 სთ. გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

ნელი, დათო, დალი, ქეთევან გურგენიძეები უღრმესი გულისტკივილით იუწყებიან უსაყვარლესი დისწულის

**ლუკა არჩვაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დეიდაშვილის ოჯახი – ეკა, რეზო, ანა ჩაჩხიანები, უღრმეს მწუხარებას გამოხატავენ და სამძიმარს უცხადებენ მანანა, ლევან არჩვაძეებს შვილის

**ლუკა არჩვაძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ნელი გურგენიძეს ძმისწულის

**ლუკა არჩვაძის**

გარდაცვალების გამო.

---

კომპანია „გეოპლანტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან გივი ღაღანიძის დედის

**ლამარას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, მეცნიერი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი, სახელმწიფო ჯილდოების მფლობელი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1956 წლიდან აფხაზეთში აშენებული არაერთი თვალსაჩინო ნაგებობის საინჟინრო ნაწილის ავტორი, ჩინებული მოქალაქე და პიროვნება

**მურმან ნაყოფია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია“ იუწყება, რომ გარდაიცვალა დირექციის ტექნიკური დირექტორი, საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი

**თამაზ შაიშმელაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

## ინფორმაცია

### საქართველოში რეგისტრირებულ დანაშაულში ქურდობა კვლავ პირველ ადგილზეა

2011 წლის პირველ რვა თვეში საქართველოში რეგისტრირებულ დანაშაულში ქურდობა კვლავ პირველ ადგილზეა .

შსს-ს 2011 წლის პირველი რვა თვის სტატისტიკის მიხედვით, 7 439 ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა. მათ შორის 2 486 მძიმე კატეგორიის ქურდობაზე მოდის, 965 ბინებიდან ქურდობაზე, 54 ავტომობილების, 199 პირუტყვის, 174 კი მობილური ტელეფონის.

2011 წლის პირველ რვა თვეში სულ 21 740 დანაშაულია დაფიქსირებული, სადაც 7 439 ქურდობაზე მოდის.

### თურქეთში საქართველოს 2 მოქალაქე დააკავეს

თურქეთის ქალაქ ტრაბზონში საქართველოს ორი მოქალაქე საწვავის ქურდობაზე დააკავეს. ისინი ღამით ადგილობრივი სახანძრო მანქანების დეპოში შეიპარნენ და საწვავის მარაგის მოპარვა სცადეს. ინციდენტი სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს, რის შემდეგაც ეჭვმიტანილთა დაკავება მოხდა.

ჯი-ეიჩ-ენი

## დაიჯესტი

### „არა“, რომელიც 39 მილიონი დაჯდა



ბევრია თუ ცოტა 39 მილიონი ევრო „ბე“? ალბათ, არც მაინცდამაინც, თუკი საქმე ბელგიის მეფის ლეოპოლიდ II ძველებურ ვილას ეხება, რომელიც საფრანგეთის ლაჟვარდოვან ნაპირზე დგას.

არადა, ზუსტად ეს თანხა გადაიხადა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისამდე რუსეთელმა მილიარდერმა მიხაილ პროხოროვმა, ამ ვილაში რომელიც მთლიანად 496 მილიონი ევრო ღირდა, იტყობინება ავტორიტეტული გაზეთი „ნიცა მატენი“. მაგრამ, კრიზისის დადგომის შემდეგ პროხოროვს, როგორც ჩანს, „ცოტა გაუჭირდა“, ამიტომ ფასის დაწევა 300 მილიონ ევრომდე მოითხოვა, რაზეც ვილის ახლანდელმა მეპატრონემ ლილი საფრამ მოკლედ მოუჭრა: „არა!“ მაშინ პროხოროვმა დეპოზიტის უკან დაბრუნება მოისურვა, მაგრამ მადამ საფრა შეუვალი დარჩა. ოლიგარქმა სარჩელი სასამართლოში შეიტანა, მაგრამ 39 მილიონი ევრო მას მაინც არ დაუბრუნეს — „ბეს“ უკან მიცემა საფრანგეთში მიღებული არ არის...

### სოფლის სტანდარტი

უკრაინაში სოფლად მცხოვრებთა ნახევარზე მეტი დარწმუნებულია, რომ ისინი ზნეობრივად გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე ქვეყნის მსხვილი ქალაქების მოსახლეობა. გლეხები გმობენ ალკოჰოლიზმს, უფროსებისადმი უპატივმცემლობას, უზრდელობას, ძალადობასა და, განსაკუთრებულად აქტიურად, ჰომოსექსუალიზმსა და აბორტებს. ამასთან, გორშენინის ინსტიტუტის მიერ ამას წინათ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, ქრონიკული ალკოჰოლიზმის დონე სოფლად გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალაქებში.



### მაინც რას ნიშნავს დობა!..

ანალოგიურ ვითარებაში ტყუპების ქცევის მსგავსებას მეცნიერებმა ყურადღება დიდი ხნის წინათ მიაქციეს. მაგალითად, მათი ერთდროული ავადმყოფობა მაშინაც კი, როცა ისინი ერთმანეთს დიდი მანძილითაც კი არიან დაშორებული. ცოტა ხნის წინათ კი ამერიკელმა ტყუპმა დებმა ქეით და ჟაკლინ მორელებმა, რომელთაგან ერთი სან-ფრანცისკოში, მეორე კი ჩიკაგოში ცხოვრობს, ლატარიაში... ერთი და იგივე ნომერი ჩაწერეს და ორივემ სოლიდური თანხა მოიგო!



## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● ეთიოპიას დედაქალაქებში არ უმართლებდა. ქალაქი ბოლომდე აშენებულიც არ იყო, ახალ ადგილზე უწევდათ გადასვლა. დედაქალაქი მხოლოდ 1883 წელს ავსტრალიიდან შემოტანილმა ევკალიპტმა გადაარჩინა და დაამკვიდრა ერთ ადგილას, რადგანაც მშენებლობას ქალაქის ირგვლივ ტყე ეწირებოდა. ევკალიპტი კი სწრაფად იზრდებოდა და მარაგს ავსებდა.

● ჩინეთის ერთ-ერთი იმპერატორის კარზე მზარეულის ვაკანსიის დასაკავებლად პრეტენდენტებს უნდა მოემზადებინათ კერძი, რისთვისაც სითხეს, პროდუქტს, მარილს თანაბარი რაოდენობით გამოიყენებდნენ და ეს მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა შეძლო, რომელმაც უბრალოდ კვერცხი მოხარშა.

● ინგლისში ბევრ აფთიაქს აქვს დამატებით აბრა, რომელზეც გამოსახულია ღრუბელზე მჯდომი წითელი ძაღლი, რაც ნიშნავს იმას, რომ აფთიაქში წამლებთან ერთად იყიდება „ჰოთ დოგი“.

● აღორძინების ეპოქაში სილამაზის კანონებით ქალებს თეთრი უნდა ჰქონოდათ ხელები და კბილები, შავი — თვალები, წარბები და წამწამები, ვარდისფერი — ტუჩები, ლოყები და ფეხები.

● ინგლისურ საგრაფო გლოსტერშირში უკვე ხუთასი წელია ტარდება უჩვეულო შეჯიბრება: მონაწილეები კუპერ ჰილის მთიდან აგორებენ ოთხკილოგრამიან ყველს, გამოეკიდებიან და თუ დაიჭერენ, მათი საკუთრებაა და შეუძლიათ იქვე შეჭამონ.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა


## განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

## განცხადება

კომპანიას ესაჭიროება უძრავი ქონების მართვის მენეჯერი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება
ტელ: 5 99 510 285

კომპანია აცხადებს კონკურსს დირექტორის თანამდებობაზე. სავალდებულო მოთხოვნებია – უმაღლესი განათლება, ვაჭრობის სფეროში მენეჯერად მუშაობის მინიმალური გამოცდილება და კომპიუტერის ცოდნა.
ტელ: 5 99 510 285.


## არქეოლოგია

### უნიკალური აღმოჩენა დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროში ნაპოვნია სამარხი და ბრინჯაოს უძველესი ნივთები, რომლებსაც 3400 წლის წინათ ეთაყვანებოდნენ.

სიძველეებს დედოფლისწყაროს მდინარე იორის მიმდებარე ტერიტორიაზე მიაგნეს. სპეციალისტები ცდილობენ, დაადგინონ — რა საიდუმლოს ინახავს ძველი წელთაღრიცხვის XIV-XIII საუკუნეებით დათარიღებული ნივთები. ექსპონატებთან ერთად მკვლევარებმა ის ადგილებიც აღმოაჩინეს, სადაც მაშინ მსხვერპლთშეწირვის რიტუალი სრულდებოდა.

**ნანა ჭიჭინაძე,**
„სრ“ საკ. კორ.


რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.


## კადრი



## ანეკდოტები

— სოსო! — მიმართავს სამართლის გამოცდაზე მისულ სტუდენტს პროფესორი, — აბა, თუ მეტყვი, თაღლითობა რას ნიშნავს?

— ბატონო პროფესორო, თუ თქვენ ჩამჭრით, მაპატიეთ, მაგრამ თქვენის მხრივ ეს თაღლითობა იქნება.

— როგორ? — გაოცებით ეკითხება პროფესორი.

— თაღლითობა, საყოველთაოდ მიღებული განმარტებით, ისეთი საქციელია, როცა მავანი სხვისი არცოდნით სარგებლობს და ზიანს აყენებს მას, — პასუხობს სტუდენტი.

* * *

ორი ქირურგის დიალოგი:

— როგორ ჩაიარა ოპერაციამ?

— ეჰ, ნარკოზით ხომ იცი, რომ მოსაწყენია...

* * *

ცნობილი მენატურე ქალი თხოვდება და თავის ერთ-ერთ მხატვარს ქორწილში ეპატიჟება: სუფრასთან მჯდარი მხატვარი მეზობელ მამაკაცს პატარძალზე ანიშნებს და ეჩურჩულება:

— არ ვიციოდი ასეთი მომხიბვლელი თუ იყო.

* * *

ფსიქოთერაპევტს მამაკაცი შესჩივის:

— ექიმო, უძილობა მტანჯავს, რამე უნდა მიშველოთ.

— აუცილებლად დაგეძინებათ, თუ დაწოლის წინ თქვენს პრობლემებს მოიშორებთ.

კაცი ჩაფიქრდა, კეფა მოიფხანა და ამბობს:

— გასაგებია, მაგრამ... ჩემს ცოლს რომ მარტო დაძინება არ სურს?

* * *



გურული და კახელი საუბრობენ. უცებ გურულს თავზე კოდალა დააჯდა. გურული გამწარდა:

— ძამა, მე რას მაჯდები? აი კახელი და მაგას დააჯექი!

კახელმა გაიცინა:

— ჯოო, მაგაი ფუტუროი უყვარს, იცი შენა?


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაჟაკიძე 514 33-33-24